



ხარვეზები, დარღვევები და დაუსაბუთებელი შედეგები

ნემესპუნი ჰესის პროექტის ისტორია



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ხერვეები, დარღვევები
და დაუსაბუთებელი შედეგები
ნემესპანი ჰესის პროექტის ისტორია

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2021

დოკუმენტი მომზადებულია პროექტის „წყლის და მინერალური რესურსების მდგრადი და დემოკრატიული მართვა საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ჰაინრიხ ბოლის ფონდის თბილისის ოფისი მხარდაჭერით. დოკუმენტში მოსაზრებები ეკუთვნის სოციალური სამართლიანობის ცენტრს და შესაძლებელია არ გამოხატავდეს ფონდის შეხედულებებს.

დოკუმენტი ინგლისურ ენაზე ითარგმნა საერთაშორისო პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (IPHR) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში მოსაზრებები ეკუთვნის სოციალური სამართლიანობის ცენტრს და შესაძლებელია არ გამოხატავდეს IPHR-ის შეხედულებებს.

კვლევის ავტორი: გიორგი ლანჩავა

კვლევის თანაავტორი: სალომე შუბლაძე

კვლევაზე ხელმძღვანელი: თათული ჭუბაბრია

დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

გარეკანის დიზაინი: როლანდი რაიკი

ფოტო: მთის ამბები

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

კვლევის ძირითადი მიგნებები.....	5
თავი 1. დათმობილი სახელმწიფო ინტერესები - ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის განხორციელების პროცესის შეფასება	9
სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ როლი კომპანიის შერჩევის პროცესში და მის მიერ შერჩეული კომპანია	11
მახვანის გასაიდუმლოებული ხელშეკრულების კანონიერების შეფასება	14
სს „ნამახვანის“ აქტივების გამოსყიდვა და საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის მიერ აღებული დამატებითი ვალდებულებები	18
სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები და გზის გადატანის უფლება კომპანიას ნამახვანი ჰესის პროექტის გარემოსდაცვითი და მშენებლობის ნებართვების გაცემაზე გადაეცა	21
დასკვნა.....	23
თავი 2. ენერგოდამოუკიდებლობის საკითხი ნამახვანი ჰესის ხელშეკრულებაში	24
შესავალი.....	25
რას ამბობს ხელშეკრულება ნამახვანი ჰესის მიერ გამოთხოვებული ელექტროენერგიის რეალიზაციის შესახებ?	25
საქართველოს კანონმდებლობა და ექსპორტის შესაძლებლობა	26
გადამცემი ქსელის სახელმწიფოს მიერ კონტროლი და ფინანსური პასუხისმგებლობა ექსპორტის უფლების შემლუღისთვის	29
ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანა და აუქციონი.....	30
დასკვნა.....	31
თავი 3. ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადი - გარემოსდაცვითი გადანაცვტილების შეფასება	32
შესავალი.....	33
ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადზე 2011 და 2015 წლებში მომზადებული გზმ ანგარიშები	34
ზემო ნამახვანი ჰესს გარემოსდაცვითი ნებართვა არ აქვს	38
რატომ არის უკანონო ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის გარემოსდაცვითი გადანაცვტილება	42
საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების რეალური ჩართულობის გარეშე მიღებული გადანაცვტილება	44
არასრული კვლევები და პირობიანი გარემოსდაცვითი გადანაცვტილება.....	46
არსებული კვლევები: რამდენად არის წარმოდგენილი კვლევები დასაბუთებული გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და ეკოლოგიური მიმართულებით?	50
დასკვნა.....	54
თავი 4. მშენებლობის ნებართვის მოპოვების პროცესის შეფასება ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადზე.....	55
შესავალი.....	56
ქვემო ნამახვანი ჰესი - რატომ გახდა საჭირო არსებული (2015 წლის) მშენებლობის ნებართვის განახლება	57
რატომ არის უკანონო ქვემო ნამახვანი ჰესის მშენებლობის ნებართვა.....	61
ნებართვის გაცემის პროცესში საკანონმდებლო მოთხოვნები დარღვეული და უგულებელყოფილი იქნა	64
მშენებლობის ნებართვის გაცემის ზემოაღნიშნული პროცედურა - რამდენად უზრუნველყო სააგენტომ საჭირო უფლებამოსილებების შესრულება	67
მშენებლობის პირობები - კიდევ ერთი დამატებითი შეღავათი	68
მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობა - კანონმდებლობისა და ნებართვის პირობების დარღვევა.....	70
დასკვნა.....	72

კვლევის ძირითადი მიზნები

ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტი, ქვეყნის ჰიდრორესურსების ათვისების სახელმწიფო პოლიტიკის არაერთი სისტემური ხარვეზის, საკანონმდებლო ჩავარდნებისა და დაუსაბუთებელი, ბუნდოვანი შეღავათების ილუსტრაციას წარმოადგენს. ნამახვანის დღევანდელი პროექტი თითქმის ყველა მიმართულებით მნიშვნელოვანი სამართალდარღვევებით ხასიათდება.

ინვესტორის შერჩევა

- სტრატეგიული მნიშვნელობის ენერგეტიკული პროექტის, ნამახვანი ჰესის განმახორციელებელი კომპანიის შერჩევაზე უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო წარმოადგენდა, თუმცა, ინვესტორის შერჩევა სახელმწიფოს ნაცვლად სამეწარმეო სუბიექტმა, „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა“ განახორციელა. აღნიშნულმა ქმედებამ პროცესების გამჭვირვალობისა და საჯაროობის მიმართულებით მნიშვნელოვანი ხარვეზები და დარღვევები გააჩინა.
- საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია, რომელი კომპანიები მონაწილეობდნენ ფონდის მიერ გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში და რა კრიტერიუმების საფუძველზე შეირჩა ნამახვანის ჰესის პროექტის განსახორციელებლად შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია“ (მოგვიანებით კომპანიამ მფლობელობა და სახელწოდებაც გამოიცვალა და დღეს წარმოდგენილია შპს „ენკა რინიუებლზის“ სახელით).
- საგულისხმოა, რომ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ კომპანიას, ასევე უნდა გამოესყიდა ფონდის შვილობილი კომპანიის სს „ნამახვანის“ აქტივები, კერძოდ ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის უკვე არსებული გარემოსდაცვითი და მშენებლობის ნებართვები და პროექტთან დაკავშირებული დამატებითი აქტივები. ინტერესთა გამოხატვის გამოცხადებით, ფაქტობრივად ფონდი მისივე შვილობილი კომპანიის აქტივების შემსყიდველ კომპანიას არჩევდა.
- დამატებით, ორი წლის დავიანებით გასაჯაროებული ნასყიდობის ხელშეკრულებით ცნობილი გახდა, რომ ენერგეტიკის განვითარების ფონდის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული 6,7 მილიონი დოლარის ანაზღაურების მიღება პირდაპირ დაუკავშირდა სახელმწიფოს მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხს. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვან რისკებს შეიცავდა და პოტენციურ საფრთხეს უქმნიდა ნებართვის გაცემისას ობიექტური და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

მშენებლობა, ფლოგა, ოპერირების ხელშეკრულება

- საჯარო და კერძო თანამშრომლობის კანონმდებლობით მოთხოვნილი ნამახვანი ჰესის კასკადის ხელშეკრულების ხელმოწერამდე საჯარო დოკუმენტაციის ნაწილი ჯერაც დაფარულია, მათ შორისაა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ მომზადებული ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი, და ფინანსთა სამინისტროს დასკვნა პროექტის ფისკალური რისკები შეფასების შესახებ. ფინანსთა სამინისტროს დასკვნა ხელშეკრულებაზე ხელმოწერისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. აღნიშნული დასკვნის გარეშე, სახელმწიფოს მხრიდან გაკეთებული ხელმოწერის კანონიერების საკითხიც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.
- სახელმწიფომ ხელშეკრულებას ხელი 2019 წელს მოაწერა, მაგრამ თავად ხელშეკრულება 2 წლის მანძილზე იყო გასაიდუმლოებული და მხოლოდ 2021 წლის თებერვალში გასაჯაროვდა. სამწუხაროდ, ხელშეკრულების პირობების შეფასება მიუთითებს, რომ არსებული შეთანხმებით საქართველოს მთავრობის მიერ კომპანიის სასარგებლოდ სახელმწიფო ინტერესები დათმობილია. ხელშეკრულება დათმობილი სიკეთეების სანაცვლოდ სახელმწიფოსთვის სათანადო სარგებლის მიღებას ვერ უზრუნველყოფს.
- 2021 წელს ასევე პირველად გასაჯაროვდა იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის 30 მარტის დასკვნა, რომლის გასაჯაროებაც სასამართლოს გზით ჰქონდა მოთხოვნილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს. სამართლებრივი რისკებისა და სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების მასშტაბურობის გამო იუსტიციის სამინისტროს შენიშვნები უკიდურესად კრიტიკული აღმოჩნდა. თუმცა ხელშეკრულების საბოლოო რედაქციიდან ირკვევა, რომ შენიშვნების უმეტესობა გათვალისწინებული არ იქნა.
- ხელშეკრულების გასაჯაროების შემდეგ ასევე ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფომ მითითებული შეთანხმებით ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ენერგიის სავალდებულო შესყიდვისგან თავისუფალ პერიოდში ქვეყნის ტერიტორიაზე დატოვებისა და საკუთარი მოსახლეობის დაკმაყოფილების უზრუნველყოფა ვერ მოახერხა. კომპანიას, სრული უფლება აქვს ექსპორტზე გაიტანოს გამომუშავებული ენერგია, ხოლო აღნიშნული უფლების შეზღუდვა სახელმწიფოს ხელშეკრულების პირობების დარღვევაში ჩათვლება.

კომპანიისთვის წინასწარ გადუწყვლილი ტერიტორიები

- ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადზე გარემოსდაცვითი და მშენებლობის ნებართვების გაცემამდე რამდენიმე თვით ადრე, კომპანია „ენკა რინიუ-ებლზს“ პროექტის განსახორციელებლად საჭირო სახელმწიფო მიწები, კერძოდ, რიონის ხეობაში 576 ჰა ტერიტორია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით წინასწარ გადაეცა.
- აღნიშნულმა ფაქტმა სრულ ფორმალობად აქცია პროექტზე გარემოსდაცვითი თუ მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა და ნათლად დააფიქსირა სახელმწიფოს პოზიცია, რომ ნამახვანი ჰესის პროექტი განხორციელდებოდა, ხოლო დადებითი ნებართვები ამ გადაწყვეტილების შესაბამისად გაიცემოდა. როგორც გარემოსდაცვითი, ისე მშენებლობის ნებართვების პროცედურები აღნიშნული ვარაუდის ნათელ ილუსტრაციად იქცა.

გარემოსდაცვითი გადუწყვეტილება

- გარემოსდაცვითი გააწყვეტილება ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მხოლოდ ერთ, ქვემო ნამახვანი ჰესს აქვს. ზემო ნამახვანი ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასება და შესაბამისად, ნებართვა დღემდე არ არსებობს. აღნიშნული გარემოება ქვემო ნამახვანი ჰესის გარემოსდაცვითი ნებართვის უკანონობის საფუძველიცაა. ნებართვების დაყოფა და ამ ჰესების გარემოზე ზემოქმედების ცალ-ცალკე, დანაწევრებულად შეფასება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გარემოსდაცვითი პრინციპების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების სანდარტების უგულვებელყოფას და კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენს.
- ქვემო ნამახვანის გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში დაირღვა ფუნდამენტური გარემოსდაცვითი უფლებები. გადაწყვეტილება საზოგადოების რეალური ჩართულობის გარეშე იქნა მიღებული. ადგილობრივ მოსახლეობას დაგეგმილი საქმიანობის თაობაზე საჯარო განხილვაზე დასწრების შესაძლებლობა პრაქტიკულად არ მიეცათ, რადგან განხილვა საპროექტო არეალიდან მნიშვნელოვნად დაშორებულ ადგილზე ჩატარდა. ამასთან, განხილვებზეც სახელმწიფოს მხრიდან პასუხგაუცემელი რჩებოდა საზოგადოების სამართლიანი და კრიტიკული შეკითხვები.
- კომპანიის მიერ მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასება, პროექტის თაობაზე სრულყოფილ და სავალდებულო კვლევებს არ მოიცავს. იმ პირობებში, როდესაც სრულყოფილი გარემოსდაცვითი კვლევები არ არსებობდა, გადაწყვეტილება კონკრეტული პირობებით გაიცა და კომპანიას უმნიშვნელოვანესი კვლევების წარმოდგენა მოგვიანებით დაავალა. კანონმდებლობა არ იცნობს რამე სახის პირობიანი ნებართვის გაცემის შესაძლებლობას, ამგვარი მიდგომა პირდაპირ ეწინააღმდეგება გარემოსდაცვით პრინციპებს. დაუშვებელია პროექტზე სრული

და ყოველმხრივი ინფორმაციის არსებობის, მისი სავალდებულო საექსპერტო შეფასების გარეშე რაიმე სახის წინასწარი გადაწყვეტილება ყოფილიყო მიღებული.


- საგულისხმოა, რომ კომპანიამ აღნიშნული პირობიანი ნებართვაც დაარღვია და სახელმწიფოს სავალდებულო კვლევები არ წარუდგინა. აღნიშნულის საფუძველზე 2021 წლის 18 იანვარს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინსპექტირების შედეგად კომპანია ერთჯერადად დაჯარიმდა კიდევ.

მშენებლობის ნებართვა

- ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის კასკადი, მისი მასშტაბის გათვალისწინებით, კანონმდებლობით განსაზღვრულ განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტს წარმოადგენს. მსგავსი აღიარების მიუხედავად, რაც მშენებლობისას მომეტებული რისკის არსებობასა და ნაგებობის განსაკუთრებული სიფრთხილით, მხოლოდ სრულყოფილად შესწავლის საფუძველზე მშენებლობას გულისხმობს, ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა საშუალებით პირობა იქნა გამოყენებული და მშენებლობის ნებართვაც სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე, კონკრეტული პირობებით გაიცა.
- პირობიანი მშენებლობის ნებართვა კანონმდებლობით მხოლოდ და მხოლოდ დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე და კონკრეტული გარემოებების შემთხვევაში შეიძლება გაიცეს. აღნიშნულის მიუხედავად, ნამახვანი ჰესზე მშენებლობის ნებართვის მიღების გამარტივებული გზა, მშენებელ კომპანიას თავად მშენებლობის ნებართვის გამცემმა სახელმწიფო ორგანომ შესთავაზა, ხოლო სამშენებლო სუბიექტმა უბრალოდ თანხმობა განაცხადა მიეღო აღნიშნული პირობები. კანონმდებლობით განსაზღვრული დასაბუთებული შუამდგომლობა საერთოდ არ არსებობს.
- აქვე, თავს იჩენს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის მიერ აღებული ვალდებულება. კერძოდ, მაშინ როდესაც, ეკონომიკის სამინისტროს მმართველობაში არსებულმა ფონდმა კომპანიის მშენებლობის უფლების მოპოვებაში დახმარების ვალდებულება იკისრა, ასევე ეკონომიკის სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო მშენებლობის ნებართვას აუცილებელი სამშენებლო დოკუმენტაციის არარსებობის პირობებში, ნებართვის მაძიებლის დასაბუთებული შუამდგომლობის გარეშე, გამარტივებულად გასცემს. აღნიშნული გარემოება კი, ნებართვის კანონიერების თაობაზე საზოგადოებაში დამატებით მნიშვნელოვან კითხვის ნიშნებს აჩენს.
- აღსანიშნავია, რომ მშენებლობის მიმდინარეობაზე სახელმწიფო ზედამხედველობა უკიდურესად პასიურად მიმდინარეობს. მშენებლობის ნებართვის პირობების დარღვევის მიუხედავად, 2020 წლის ოქტომბერსა და 2021 წლის მარტში განხორციელებული შემოწმებებით დარღვევები არ დაფიქსირდა და კომპანიას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ განესაზღვრა.

თავი 1.

ღუთმოგილი სხელმწიფო
ინტერესები — ნამახჰანის
ჰიდროელექტროსადგურების
კესკადის პროექტის
გენსორსიელების პროცესის
შეფასება



ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების პროექტს დღეისათვის შპს „ენკა რინიუებლზი“ ახორციელებს. თუმცა, თავდაპირველად, ჰიდროელექტროსადგურის ასაშენებლად გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიამ“ გაიმარჯვა და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულებაც მასთან დაიდო. ინვესტორის შერჩევისა ეტაპები დღემდე საზოგადოებისთვის დახურულია. უცნობია შერჩევის კრიტერიუმები და აღნიშნულ პროცესებში სხვადასხვა კერძო სუბიექტების გამოჩენის შესახებ დახურულ კარს მიღმა მიღებული სხვა გადანაცვებილებიც.

2019 წლის 25 აპრილს საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“, სს „ნამახვანს“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“ (შეცვლილი სახელი – შპს „ენკა რინიუებლზი“) გაფორმდა ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულება. ხელშეკრულების გაფორმებიდან თითქმის ორი წლის მანძილზე გასაიდუმლოებული რჩებოდა თავად ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის ხელშეკრულებაც, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჟურნალისტური გამოძიებისა და საზოგადოების აქტიური პროტესტის შედეგად გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი.¹ ხელშეკრულების გასჯაროებამ პროექტის ირგვლივ არსებული არაერთი მნიშვნელოვანი დეტალი გახადა ხელმისაწვდომი.

მოცემულ თავში წარმოდგენილია ის ინფორმაცია, რომელიც აღწერს ნამახვანის პროექტის ინვესტორის შერჩევის პროცესს, ხელშეკრულების გაფორმების ეტაპებს და მსჯელობს იმ დამატებით შედეგათებსა თუ დათმობებზე, რომელიც კომპანიის სასარგებლოდ გაიცა სახელმწიფოს მიერ.

¹ „ნამახვანი – რას გვაპარგინებს და რას გვაძლევს“ – 07.02.2021 წ. – იხ. ბმული – <https://ifactimereti.ge/namakhvani/>

სს „საქართველოს ენერგეტიკის
განვითარების ფონდის“ როლი
კომპანიის შერჩევის პროცესში და მის
მეორე შერჩეული კომპანია



2019 წლის 25 აპრილს საქართველოს მხარესა და შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“ შორის ნამახვანი ჰესების კასკადის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების გაფორმებას წინ უძღოდა სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ (GEDF)² მიერ გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვის პროცესი, რომლის საფუძველზეც პროექტის განმახორციელებელი კომპანია შეირჩა. სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ სამეწარმეო სუბიექტია, რომლის აქციების 100%-ის მესაკუთრე სახელმწიფოა. აღსანიშნავია, რომ ნამახვანი ჰესის პროექტის განხორციელების ერთ-ერთ საწყის ეტაპზე პროცესში სწორედ სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ შვილობილი კომპანია, სს „ნამახვანი“ ჩაერთო, რომელმაც ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის პროექტზე 2015 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსგან დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა მოიპოვა და პროექტის არეალში მცხოვრები მოსახლეობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოსყიდვის პროცესიც წამოიწყო. სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ 2015 წელს გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვით სწორედ იმ კომპანიას არჩევდა, რომელსაც მისივე შვილობილი კომპანიის, სს „ნამახვანის“ აქციები და აქტივები და, შედეგად, პროექტის განხორციელების უფლება უნდა გადასცემოდა.

აღნიშნულიდან პირველ რიგში ის დგინდება, რომ სახელმწიფომ ნამახვანი ჰესის მსგავსი მასშტაბური და სტრატეგიული მნიშვნელობის ენერგეტიკული პროექტის განმახორციელებელი კომპანიის შერჩევის უფლებამოსილება სრულად გადააბარა სამეწარმეო სუბიექტს. გარდა იმისა, რომ ნამახვანი ჰესის პროექტის განმახორციელებელი კომპანიის შერჩევისას მოქმედი კანონმდებლობა ენერგეტიკული პროექტების დეველოპერის შერჩევას ენერგეტიკის სამინისტროს ავალეხდა, სახელმწიფო ბუნებრივი რესურსების განკარგვის უფლებამოსილების სამეწარმეო სუბიექტისათვის ამ ფორმით გადაცემა მნიშვნელოვან კითხვის ნიშნებს აჩენს ამ პროცესების გამჭვირვალობასა და საჯაროობასთან დაკავშირებითაც.

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა“ 2017 წლის 16 იანვარს ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია“ გამოაცხადა.³ თავისთავად, დამატებით კითხვებს აჩენს ის გარემოება, რომ 2015 წელს

2 GEDF-ის აქციების 100%-ის მესაკუთრე სახელმწიფოა, შესაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aTcAN9>.

3 ინვესტორისთვის ნამახვანი ჰესების კასკადი საქართველოში პირველი პროექტი არ ყოფილა. 2017 წელს ექსპლუატაციაში მიღებული შუახვევი ჰესის პროექტის განხორციელების უფლება ნორვეგიულ კომპანია „ქლინ ენერჯი ინვესტს“ ჰქონდა გადაცემული. საგულისხმოა, რომ აღნიშნული კომპანია „Clean Energy Group A.S.“-ს (შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“ წილების მესაკუთრე ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებისას) ერთად, „ქლინ ენერჯი გრუფის“ შემადგენლობაში შედის.

გამოცხადებული შერჩევის გამარჯვებული მხოლოდ ორი წლის შემდეგ გამოვლინდა. ამასთან, ვინაიდან მთელი ეს პროცესი საზოგადოებისთვის დახურული იყო და, გარდა ამისა, დღემდე უცნობია რა პროცედურებით განსაზღვრული ვადებით ატარებდა ფონდი შერჩევას, რთულია, შეფასდეს, რამ გამოიწვია ინტერესთა გამოხატვის ამგვარი გაჭიანურება და შედეგად, ხომ არ დაირღვა კანონმდებლობის მოთხოვნები.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერესთა გამოხატვის პროცესში სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ საჯარო უფლებამოსილებებს ასრულებდა, კომპანიის ხელმძღვანელობა თავს ადმინისტრაციული კანონმდებლობით შემოჭრილად არ თვლიდა და 2017 წელს მიუთითებდა, რომ „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ სააქციო საზოგადოებაა და მას ნამახვანი ჰესზე გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვასთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება არ ჰქონდა.⁴ ფონდის გადაწყვეტილებით, კონფიდენციალურად რჩებოდა გამარჯვებულის შერჩევის კრიტერიუმები, ინტერესთა გამოხატვის მონაწილეთა წინადადებები და შესარჩევი კომისიის წევრების ვინაობა.

ამ დრომდე ბუნდოვანია ენერგეტიკის განვითარების ფონდისთვის მსგავსი მასშტაბის უფლებამოსილების გადაცემის, უმნიშვნელოვანესი საჯარო უფლებამოსილების სახელმწიფოს მხრიდან დელეგირების მოტივაცია და, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მიუკერძოებლობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვის საკითხები. ამასთან, დღეის მდგომარეობითაც, ნამახვანის ხელშეკრულების თაობაზე საზოგადოებაში არსებული არა ერთი წუხილისა და ლეგიტიმური კითხვის მთავარი ადრესატი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ფონდის მეშვეობით ცდილობს გაექცეს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას და მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის გაცემას თავი აარიდოს.⁵

„ჩვენი მიზანია რომ ნამახვანის მშენებლობა 2018 წელს დაიწყო“ – 05.02.2018 წ. – იბ. ბმული – <https://bit.ly/3fj9CUI>

4 „ნამახვანი ჰესის კონკურსის დეტალები კონფიდენციალურია“ – იბ. ბმული – <https://bit.ly/3gnkC2k>

5 „კვირას, 14 მარტს ნამახვანჰესის წინააღმდეგ ქუთაისში აქცია გაიმართება“ – 12.03.2021 – იბ. ბმული – <https://netgazeti.ge/news/526367/>

ნამახვანის გასაიდუმლოებული
ხელშეკრულების კანონიერების
შეფასება



საქართველოს მხარესა და შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“ შორის 2019 წლის 25 აპრილს გაფორმებული ნამახვანი ჰესების კასკადის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულება თითქმის ორი წლის მანძილზე საჯაროდ ხელმისაწვდომი არ იყო. მხოლოდ და მხოლოდ 2021 წლის 7 თებერვალს, ხელშეკრულება ჟურნალისტებმა მოიპოვეს და გაასაჯაროვეს.⁶ თუმცა, ჟურნალისტებისათვის მიწოდებული დოკუმენტი ნაწილობრივ კვლავ დაფარული იყო. მათ შორის ხელმისაწვდომი არ იყო სახელმწიფოს მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სავალდებულოდ შესყიდვის ტარიფი. საბოლოოდ, საზოგადოების ფართო ინტერესის გათვალისწინებით, სახელმწიფო იძულებული გახდა სრულად გაესაჯაროვებინა მითითებული ხელშეკრულება.⁷

გასაჯაროებული ხელშეკრულებით პროექტის არაერთი მნიშვნელოვანი დეტალი გახდა ცნობილი, მათ შორის, ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ წინასწარ აღებული არაერთი ვალდებულების, დათმობილი ბუნებრივი რესურსებისა და კომპანიის სასარგებლოდ აღებული დამატებითი ვალდებულებების შესახებ. ხელშეკრულების შინაარსით ასევე გაირკვა, რომ საქართველოს მთავრობისა და კომპანიის წარმომადგენელთა მტკიცებას პროექტის სარგებლიანობის შესახებ სათანადო საფუძველი არ გააჩნდა.⁸

ხელშეკრულების შინაარსის გასაიდუმლოებამ, ცხადია საზოგადოებაში დამატებითი კითხვები გააჩინა. ხოლო საკითხის დეტალურმა შესწავლამ ხელშეკრულების კანონიერად გაფორმების საკითხიც წარმოშვა, კერძოდ, „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, ქვეყანაში 2018 წლის 4 მაისიდან მოქმედებს და ის, სხვა საკითხებთან ერთად, ენერგეტიკული საინვესტიციო პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს.⁹ კანონის მოქმედების სფეროში იმგვარი ენერგეტიკული პროექტები ექცევა, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგიის გარანტირებულ შესყიდვას ითვალისწინებს. ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადი სწორედ საჯარო და კერძო თანამშრომლობის (Public-Private-Partnership (PPP)) პროექტს წარმოადგენს.

6 „ნამახვანი – რას გვაპარგინებს და რას გვაძლევს“ – იხ. ბმული – <https://ifactimereti.ge/namakhvani/>

7 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული საქართველოს მთავრობისა და შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“ შორის ნამახვანი ჰესების კასკადის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულება – იხ. ბმული – <https://bit.ly/3583R67>

8 „ნამახვანი ჰესის ხელშეკრულების შეფასება“ – იხ. ბმული – <https://bit.ly/3x8UEGO>

9 „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი – იხ. ბმული -<https://matsne.gov.ge/document/view/4193442?publication=2>

კანონმდებლობა დეტალურად აწესრიგებს ამგვარი საინვესტიციო პროექტის განხორციელების პროცედურასა და პრინციპებს. კერძოდ, საჯარო და კერძო თანამშრომლობა უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალობის, განჭვრეტადობის, თავისუფალი კონკურენციის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის, ხარისხის ფასთან თანაფარდობის, რისკების ოპტიმალური განაწილების, ფისკალური პასუხისმგებლობის, გარემოს დაცვისა და სოციალური მდგრადობის პრინციპებს.¹⁰

საქართველოს მთავრობის მიერ ენერგეტიკული პროექტის განხორციელების თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულების მოწონებამდე, კანონმდებლობის შესაბამისად, არსებულმა პროექტმა რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა უნდა მოიპოვოს. საჯარო ფინანსების ხელმისაწვდომობის, ხარისხის ფასთან თანაფარდობისა და ფისკალური რისკების შეფასება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციას წარმოადგენს.¹¹ დასკვნის მოპოვების მიზნით ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ფინანსთა სამინისტროს უნდა წარედგინოს. აღნიშნული დასკვნა პროექტზე დადებითი გადანაცვებების მისაღებად, კანონმდებლობით დადგენილ სავალდებულო მოთხოვნას და ერთ-ერთი ფუნდამენტურ დოკუმენტს წარმოადგენს. ფისკალური რისკების შესახებ ფინანსთა სამინისტროს დასკვნა მნიშვნელოვანი ფაქტორია პროექტის მიზანშეწონილობის შეფასების და მისი ხარისხის ფასთან თანაფარდობის და რისკების ოპტიმალურ განაწილების პრინციპებთან შესაბამისობის დადგენისას.

საქართველოს კანონმდებლობა მსგავსი სახის ხელშეკრულების გაფორმებამდე, არსებული სამართლებრივი რისკების შესაფასებლად ასევე მოითხოვს ხელშეკრულების პროექტზე იუსტიციის სამინისტროს დასკვნის მომზადებას.¹² დასკვნით სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სამართლებრივი შეფასება უნდა განხორციელდეს და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს შესაბამისი რეკომენდაციები უნდა მიენდოს.

აღნიშნული დასკვნების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა პროექტის სტრატეგიული მნიშვნელობის, გარემოსდაცვითი მდგრადობის, ეკონომიკური გავლენის, საჯარო ფინანსების ხელმისაწვდომობისა და ფისკალური რისკების შეფასების საფუძველზე იღებს გადანაცვებებს პროექტის მოწონებისა და მისი განხორციელების თაობაზე.¹³

10 იქვე – მუხლი 5

11 იქვე – მუხლი 20

12 „უცხოელი კონტრაქტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის #139 დადგენილება – იხ. ბმული – <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/93976?publication=0> .

13 საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი – იხ. ბმული -<https://matsne.gov.ge/document/view/4193442?publication=2> – მუხლი 13

2019 წლის 25 აპრილს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ხელშეკრულების გაფორმებამდე დაირღვა კანონმდებლობით განსაზღვრული არა ერთი სავალდებულო მოთხოვნა და წინაპირობა.

პროექტის მომზადების ეტაპზე არ იყო დაცული საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპები, კომპანიის შერჩევა დარღვევებით წარიმართა, ხელშეკრულების გაფორმებამდე გათვალისწინებული არ იქნა იუსტიციის სამინისტროს მკვეთრად კრიტიკული დასკვნა ხელშეკრულების პროექტზე¹⁴ და, რაც მთავარია, საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია, არსებობს თუ არა პროექტის ფისკალური რისკების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასკვნა, შესაბამისად, უცნობია, რა ფინანსური რისკების შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს ნამახვანის პროექტი ქვეყნისათვის. აღნიშნული დასკვნის არარსებობა, არსებობის შემთხვევაში კი მისი არ გათვალისწინება, ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადს უკიდურესად სარისკო და გაუაზრებელ პროექტად აქცევს და ამასთან, 2019 წლის ხელშეკრულების გაფორმების კანონიერებას ეჭვქვეშ აყენებს.

14 აღნიშნული დასკვნა იუსტიციის სამინისტრომ 2019 წლის მარტში მოამზადა; დასკვნა 22 კრიტიკულ შენიშვნას მოიცავს და ეკონომიკის სამინისტროს ხელშეკრულების პროექტის არა ერთი დებულების გადახედვისკენ მოუწოდებს. აღნიშნული დასკვნის შეფასება იხილეთ – „იუსტიციის სამინისტროს დასკვნა ადასტურებს რომ ნამახვანის ხელშეკრულებით მთავრობამ დათმო საზოგადოებრივი ინტერესები“ – იხ. ბმული – <https://bit.ly/3w9sYkT>

სს „ნამახვანის“ პეტროვების გამოსყიდვა
და საქართველოს ენერგეტიკის
განვითარების ფონდის მიერ აღებული
დამატებითი ვალდებულებები



გასაჯაროვებული ინფორმაციით, საზოგადოებისთვის ასევე ხელმისაწვდომი გახდა ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულების პარალელურად დადებული სს „ნამახვანის“ აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება.¹⁵

სს „ნამახვანი“ 2012 წელს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმებით დაფუძნდა, რომლის წესდების შესაბამისად, ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულება ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობა გახდა. 2012 წლიდან 2015 წლამდე სს „ნამახვანის“ მიერ სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად განხორციელდა გარკვეული სამუშაოები. მათ შორის ადგილობრივებისგან გარკვეული ტერიტორიების გამოსყიდვა.

2015 წლისთვის, სს „ნამახვანის“ მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიც მომზადდა, რომლის საფუძველზეც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ გარემოსდაცვითი ნებართვა გასცა.¹⁶ ხოლო ეკონომიკის სამინისტრომ, იმავე წელს სს „ნამახვანს“ ჰიდროელექტროსადგურზე მშენებლობის ნებართვაც მისცა.¹⁷

2015 წლისთვის სს „ნამახვანს“ საკუთარ აქტივებში უკვე გააჩნდა ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის პროექტზე გაცემული ნებართვები. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, სს „ნამახვანმა“ საკუთარი აქტივები, მათ შორის როგორც გარემოსდაცვითი, ისე მშენებლობის ნებართვა სრულად გადასცა შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული ნასყიდობის ღირებულებამ 7 მილიონ 600 000 აშშ დოლარი შეადგინა.¹⁸ სს „ნამახვანმა“, ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის განხორციელების უფლება სწორედ აღნიშნულ თანხად გაყიდა. საგულისხმოა, რომ ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნული თანხის სრულად ჩარიცხვა, კომპანიის მიერ მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ მოხდებოდა. ამასთან, ოფიციალურად გაჟღერებული პოზიციის თანახმად, ენერგეტიკის განვითარების ფონდმა და სს „ნამახვანმა“ დამატებით ინვესტორისათვის განახლებული მშენებლობის ნებართვის მოპოვებაში დახმარების ვალდებულებაც იკისრეს.¹⁹

15 იქვე – დანართი N8

16 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის 25 დეკემბრის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/16968>

17 „ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის განხორციელებისათვის მშენებლობის ნებართვა გაიცა“ – 02.02.2016 წ. – იხ. ბმული – <https://www.interpressnews.ge/ka/article/364529-namakhvan-hesebis-kaskadis-proektis-ganxorcielebistvis-msheneblobis-nebartva-gaica/>

18 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული საქართველოს მთავრობისა და შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“ შორის ნამახვანი ჰესების კასკადის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულება – დანართი N8, მუხლი 3 – იხ. ბმული – <https://bit.ly/3583R67>

19 „ნამახვანის ჰესების კასკადი“ – იხ. ბმული – <https://gedf.com.ge/project/23-namakhvanis-hesebis-kaskadi>

მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სახელმწიფო კომპანიისათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ანაზღაურების მიღების მსგავსი სახით დაკავშირება მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს და შესაძლებელია, პოტენციურად ანგარიშგასაწევი საფრთხე შეუქმნას ნებართვის გაცემისას ობიექტური და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

ამდენად, ენერგეტიკის განვითარების ფონდმა საკუთარი შვილობილი კომპანიის აქტივებიც გაყიდა და დამატებით, მშენებლობის ნებართვის მოპოვებაში დახმარების ვალდებულებაც აიღო. მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში ფონდის პირდაპირ პასუხისმგებლობაზე საუბარი რთულია, თუმცა ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის პროექტზე გაცემული ნებართვების ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ პროექტის განმახორციელებელმა კომპანიამ არაერთი სახელმწიფო შეღავათით ისარგებლა და აღნიშნული, დღემდეც გრძელდება.

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული
მიწის ნაკვეთები და გზის გადატანის
უფლება კომპანიას ნამუხვანი ჰესის
პროექტის გარემოსდაცვითი და
მშენებლობის ნებართვების გაცემამდე
გადაეცემა



ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის შესახებ ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასთან 2019 წლის 25 აპრილს გაფორმდა, თუმცა, უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების დასაწყებად, კანონმდებლობის მიხედვით, აუცილებელი იყო კომპანიის მიერ გარემოსდაცვითი და მშენებლობის ნებართვების მოპოვება. ნამახვანი ჰესზე გარემოსდაცვითი ნებართვა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2020 წლის 28 თებერვალს გასცა, ხოლო მშენებლობის ნებართვა კომპანიამ ეკონომიკის სამინისტროს სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსგან“ 2020 წლის 22 აპრილს მიიღო. ორივე ნებართვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო მოთხოვნების უგულვებელყოფითა და ხარვეზებით გაიცა,²⁰ თუმცა საგულისხმოა, რომ აღნიშნული ნებართვების გაცემამდე, რამდენიმე თვით ადრე, 2019 წლის 21 ნოემბერს კომპანია „ენკა რინიუებლზს“²¹ პროექტის განსახორციელებლად საჭირო სახელმწიფო მიწები საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით წინასწარ გადაეცა. კომპანიამ მიწების ნაწილი 99 წლიანი სასყიდლიანი აღნაგობის (წელიწადში ჯამურად – 16 ლარი) უფლებით, ნაწილი კი საკუთრებაში – პირდაპირი შესყიდვის ფორმით მიიღო.²²

ასევე აღსანიშნავია, რომ ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის ხელშეკრულებით, პროექტის პირდაპირი ზეგავლენის ქვეშ მოქცეული გზის ნაცვლად, კომპანია ვალდებულია ააშენოს და ექსპლუატაციაში მიიღოს ქუთაისი-ალპანა-მამისონის საავტომობილო გზის მონაკვეთი. საგულისხმოა, რომ აღნიშნული გზის მშენებლობის ნებართვა, კომპანიამ ასევე წინსწრებით, ჰიდროელექტროსადგურის გარემოსდაცვითი ნებართვის არსებობამდე, 2020 წლის 18 თებერვალს მიიღო.²³

კომპანიისთვის მიწების წინასწარ გადაცემისა და გზის ნებართვის წინსწრებით გაცემის შესახებ გადაწყვეტილებები, ნათლად მიუთითებს, რომ ნამახვანის ჰესის განხორციელების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მთავრობას იქამდე ჰქონდა მიღებული, სანამ პროექტის გარემოზე ზემოქმედების მასშტაბები შეფასდებოდა დადებითი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული.

20 „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის შეფასება“ – იხ. ბმული – <https://bit.ly/3wm7dy1>
 „მშენებლობის ნებართვის მოპოვების პროცესის შეფასება“ – იხ. ბმული – <https://bit.ly/3bHtoH4>

21 2019 წლის 22 მაისს შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია“ იცვლის სახელწოდებას და სახელმწიფოსთან ურთიერთობას აგრძელებს როგორც შპს „ენკა რინიუებლზი“

22 „როინის ხეობა ნამახვანჰესის კომპანიას გადასცეს“ – 05.02.2021 წ. – იხ. ბმული – <https://bit.ly/3f61Flz>

23 გზის მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, რამდენიმე თვით ადრე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ნოემბრის N2404 განკარგულების შესაბამისად, არსებული გზის დატბორვა მხოლოდ და მხოლოდ ახალი გზის ექსპლუატაციის შემდგომ უნდა განხორციელდეს.

აღნიშნულმა ფაქტმა სრულ ფორმალობად აქცია პროექტზე გარემოსდაცვითი თუ მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა და ნათლად დააფიქსირა სახელმწიფოს პოზიცია, რომ ნამახვანი ჰესის პროექტი განხორციელდებოდა, ხოლო დადებითი ნებართვები ამ გადაწყვეტილების შესაბამისად გაიცემოდა.

სამწუხაროდ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების და მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურამ სწორედ ფორმალურ რეჟიმში ჩაიარა და, შედეგად, ორივე დოკუმენტი უმნიშვნელოვანესი კვლევების გარეშე გაიცა. თავის მხრივ, რიონის ხეობაში მდებარე 600 ჰა-მდე მიწის ნაკვეთების კომპანიისთვის წინასწარი გადაცემის ფაქტიც გაუმჭვირვალე და არასაჯარო პროცესების ილუსტრაციას წარმოადგენს; დღემდე საქართველოს მთავრობის აღნიშნული განკარგულება ოფიციალურად გამოქვეყნებულაც კი არ არის.²⁴ საზოგადოების დიდ ნაწილში, ყოველი ზემოაღნიშნული მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობის და დემოკრატიულობის თაობაზე.


დუსკვნა

ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განმახორციელებელი კომპანიის შერჩევისა და საქართველოს მთავრობის მიერ წინასწარ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი არსებული პროცესების თაობაზე მნიშვნელოვან და ლეგიტიმურ კითხვებს იწვევს აჩენს და გვაჩვენებს, რომ პროექტის ირგვლივ შემდგომ განვითარებული მოვლენების მსგავსად, საწყის ეტაპზეც გაუმჭვირვალობის, არასაჯაროობისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევის არაერთი ფაქტი ვლინდება.

საზოგადოებისათვის ჯერ ისევ უცნობია, აქვს თუ არა ქვეყანას წინასწარ დათვლილი პროექტის განხორციელების ხარჯთსარგებლიანობა და ფისკალური რისკები. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სავალდებულო დასკვნის სავარაუდო არარსებობას, ან მის სავარაუდო არ გათვალისწინებას, ემატება მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ხარვეზებით, გაუმჭვირვალედ და მძიმე ვალდებულებების დამატებით შერჩეული კომპანიის არსებობა. ამ პირობებში სახელმწიფო საკუთარ პასუხისმგებლობას მუდმივად გაურბის და არ ცდილობს პასუხები გასცეს დასაბუთებულ კითხვებსა და საზოგადოებაში გაჩენილ ეჭვებს.

24 საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, საჯაროდ გამოქვეყნებული განკარგულებები – იხ. ბმული – <https://bit.ly/3fkfdtS> – 2019 წლის 21 ნოემბრის N2405 განკარგულება საიტზე არ იქნენება.

თავი 2.
ენერგოდამოუკიდებლობის
საკითხი ნამუხვანი ჰესის
ხელშეკრულებაში



შესავალი

სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები ნამახვანი ჰესის სარგებელიანობაზე საუბრისას, სხვა საკითხებთან ერთად, ხშირად, ხაზს უსვამენ პროექტის მნიშვნელობას ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცებაში.²⁵ ენერგოდამოუკიდებლობის კონტექსტში საუბარია გენერაციის ობიექტების რიცხვის ზრდასა და იმპორტირებული ელექტროენერგიის წილის შემცირებაზე. მთავრობის წარმომადგენლები და ხელისუფლებასთან დაახლოებული ექსპერტული ჯგუფები აპელირებენ ნამახვანი ჰესის გამომუშავების დიდ მოცულობაზე და იმაზე, თუ როგორ შეამცირებდა ეს საქართველოს ფინანსურ ტვირთს, რაც ქვეყანას ძვირადღირებული ელექტროენერგიის იმპორტის გამო აწევს.²⁶ ეს მტკიცება მორიგია ხმამაღალ განცხადებებს შორის, რომელიც ხშირად ისმის ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან და რომელსაც ხელშეკრულების ტექსტი – ინვესტორსა და მთავრობას შორის გაფორმებული შეთანხმების შინაარსი – ზურგს არ უმაგრებს.

რას ეპიზოდს ხელშეკრულება ნამახვანი ჰესის მიერ გამოიყენებული ელექტროენერგიის რეალიზაციის შესახებ?

2019 წლის 25 აპრილს საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“, სს „ნამახვანს“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“ შორის გაფორმებული ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულების (შემდგომში – „ხელშეკრულება“) თანახმად, ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის შეთანხმების (PPA) ხანგრძლივობა შეადგენს ჰესის ოპერირების დაწყებიდან პირველ 15 წელიწადს (თითოეული წლის განმავლობაში – 8 თვეს). მასშტაბური ენერგეტიკული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების დიდი ნაწილისთვის 15-წლიანი გარანტირებული შესყიდვის პერიოდი გავრცელებული ჩანაწერია. თუმცა, აღნიშნულის პარალელურად, ნამახვანის ხელშეკრულება შეიცავს ჩანაწერს, რომლის თანახმადაც, გარანტირებული შესყიდვისგან თავისუფალ პერიოდში კომპანია უფლებამოსილია, თავისუფლად განკარგოს სადგურის მიერ გამომუშავებული ენერგია, საქართველოს ბაზარზე ნებისმიერ მყიდველზე რეალიზაციით ან ექსპორტზე გატანის გზით (მუხლი 4.3.2 c).

25 „ნათია თურნავა – ნამახვანი ჰესი საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილია“ – 30.01.2021 წ. – იბ. ბმული – <https://bit.ly/3ffZc7Y>

26 „ენერგოდამოუკიდებლობა ნამახვანი ჰესის მსგავსი დიდი სადგურების გარეშე ვერ მიიღწევა“ – 31.01.2021 წ. – იბ. ბმული – <https://bit.ly/3425t0S>

ამასთან, ხელშეკრულების სხვადასხვა დებულებები მიუთითებს კომპანიის განზრახვაზე, ელექტროენერგია ექსპორტზე გაიტანოს თურქეთში, სახელდობრ, ხელშეკრულების თანახმად:

– საქართველოს მთავრობა აცნობიერებს, რომ კომპანია პროექტში შედის იმ ვარაუდით, რომ გადაცემის სისტემის სიმძლავრე საქართველოსა და თურქეთს შორის გაიზრდება 2012 წელს გაფორმებული მთავრობათაშორისი ხელშეკრულების შესაბამისად (მუხლი 4.3.2.c.i.B)

– საქართველოს მთავრობა ვალდებულია, ყველა ღონე იხმაროს, რომ 2022 წლის 1 იანვრამდე თურქეთის მიმართულებით გადამცემა ხაზის სიმძლავრე გაიზარდოს 1400 მეგავატამდე (მუხლი 3.2.12.b).

ხელშეკრულების აღნიშნული დებულებების სისტემური ინტერპრეტაცია, სამწუხაროდ, მიუთითებს, რომ ხელშეკრულება, რომელიც მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი უმთავრესი დოკუმენტია, ნამახვანი ჰესის მიერ გამომუშავებული ენერგიის ქვეყანაში დატოვებას ვერ უზრუნველყოფს.

საქართველოს კანონმდებლობა და ექსპორტის შესაძლებლობა

მას შემდეგ, რაც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ნამახვანი ჰესის ხელშეკრულების შინაარსი და გამჟღავნდა, რომ მთავრობამ კომპანიას ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანის უფლება გადასცა, ხელისუფლების წარმომადგენლები ალბაპარაკდნენ იმაზე, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია ელექტროენერგიას ქვეყანაში მაინც დატოვებს – ხელშეკრულებაში სანინალმდეგო ჩანაწერის არსებობის მიუხედავად. უფრო ზუსტად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სოციალური სამართლიანობის ცენტრის შეფასების²⁷ პასუხად გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნავდა, რომ ექსპორტზე გატანის უფლებამოსილებას მთავრობა კომპანიას ანიჭებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და კანონმდებლობის შესაბამისად. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მტკიცება ბოლომდე ზუსტი არ არის; ელექტროენერგიის რეალიზაციის საკითხს ხელშეკრულებაში რამდენიმე დებულება შეეხება. ამ შემთხვევაში ეკონომიკის სამინისტროს, სავარაუდოდ, მხედველობაში აქვს ხელშეკრულების 3.2.2 მუხლი, რომელიც ზოგადი დებულებაა და მასში ჩამოთვლილია, მთავრობის ძირითადი ვალდებულებები, მათ შორის, კომპანიისთვის ელექტროსადგურების მიერ გამოშე-

27 ნამახვანი ჰესის ხელშეკრულების შეფასება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021 წლის 4 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iqErbN>.

შავებული ელექტროენერგიის სრული მოცულობის ექსპორტზე გატანის უფლების მინიჭება. ამ მუხლს ნამდვილად უძღვის წინ მითითება მთავრობის კომპეტენციასა და საქართველოს კანონმდებლობაზე.

სამაგიეროდ, მსგავსი არაფერია ნათქვამი ხელშეკრულების იმ დებულებებში, რომლებიც უშუალოდ და მხოლოდ ელექტროენერგიის რეალიზაციის საკითხს არეგულირებს. კერძოდ, ხელშეკრულების 4.3.2.2.c.i.A მუხლის მიხედვით, კომპანია უფლებამოსილია, თავისუფლად განკარგოს ნამახვანი ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სრული მოცულობა, მათ შორის, ექსპორტზე გატანის გზით. ამ თვალსაზრისით, უკიდურესად მნიშვნელოვანია ხელშეკრულების კიდევ ერთი ჩანაწერი, რომლის თანახმად, მთავრობა აცნობიერებს, რომ კომპანია პროექტში შედის იმ დაშვებით, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის გადამცემი ხაზების მოცულობა გაიზრდება შესაბამისი მთავრობათაშორისი ხელშეკრულების შესაბამისად. ეს დებულება არა მხოლოდ აჩვენებს კომპანიის განზრახვას, ექსპორტზე გაიტანოს ნამახვანი ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია, არამედ საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის²⁸ დამატებითი წყაროა მხარეთა შეთანხმების არსის და მათი ნების შინაარსის დასადგენად. სხვა სიტყვებით, ნათელია, რომ ვინაიდან ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანა კომპანიის ძირითად ინტერესს შეადგენს (რის გამოც, ის საერთოდ პროექტში შემოდის), მხარეებს არ განუზრახავთ, ელექტროენერგიის ექსპორტის უფლება შეეზღუდათ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებით. ამას ისიც ადასტურებს, რომ როგორც ითქვა, არა-PPA პერიოდში ელექტროენერგიის რეალიზაციის მარეგულირებელ მუხლებში საერთოდ არ არის მითითება საქართველოს კანონმდებლობაზე; ამასთან,

თუ მხარეები ექსპორტის უფლების საქართველოს შიდა მოხმარების საჭიროებისთვის დაქვემდებარებას განიხილავდნენ, ამგვარი ჩანაწერი თავად ხელშეკრულებით უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, რაც ნათელს გახდიდა, რომ, მართალია, კომპანიას ექსპორტზე გატანის უფლება აქვს, თუმცა ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს ენერგეტიკული საჭიროებებიდან გამომდინარე. ხელშეკრულება ამგვარ ჩანაწერს არ შეიცავს.

ეს საკითხი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების მიხედვით, ტერმინი „საქართველოს კანონმდებლობა“ („Laws of Georgia“) განმარტებულია როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დროდადრო შეცვლილი სამართლებრივი აქტების ერთობლიობა. შესაბამისად, თუკი მთავრობას ნამახვანი ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საქართველოში

28 ნამახვანი ჰესის ხელშეკრულებით, მხარეთა შორის დავის გადაწყვეტის ფორუმად არბიტრაჟია განსაზღვრული.

დატოვება ჰქონდა განზრახული, ამის შესახებ ხელშეკრულებაში უნდა ჩაენერა და ეს საკითხი არ დაეტოვებინა ზოგადი საკანონმდებლო მონესრიგების ფარგლებში (თუნდაც დავუშვათ, რომ კანონმდებლობის მოთხოვნები გავრცელდება), რომელიც უშუალოდ ნამახვანი ჰესს არ ეხება და რომელიც პერიოდულად შეიძლება შეიცვალოს.

გარდა ამისა, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ამ კონტექსტში საკანონმდებლო რეგულაციებზე მითითება მცდარია იმიტომაც, რომ უცხოელ ინვესტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას სამართლებრივად ქვეყნის შიდა საკანონმდებლო მონესრიგება ვერ ამართლებს. კერძოდ, საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ წესია სამართლიანი მოპყრობის (FET – Fair and Equitable Treatment) პრინციპი. აღნიშნული პრინციპი საკმაოდ ზოგადი შინაარსისაა და მის დარღვევად შეიძლება განიმარტოს ინვესტორის მოლოდინების დარღვევა, ისევე როგორც სახელმწიფოს მხრიდან ინვესტორის მიმართ განხორციელებულ ქმედებებში თანმიმდევრულობის დაუცველობა.²⁹ ეს სტანდარტი კი, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ინვესტორის წინაშე ნაკისრი პირობის დარღვევა, რომელიც მისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონეა („საქართველოს მთავრობა აცნობიერებს, რომ კომპანია პროექტში შედის იმ ვარაუდით, რომ გადაცემის სისტემის სიმძლავრე საქართველოსა და თურქეთს შორის გაიზრდება 2012 წელს გაფორმებული მთავრობათაშორისი ხელშეკრულების შესაბამისად“), ცალსახად ჩაითვლება სამართლიანი მოპყრობის პრინციპის დარღვევად. ხოლო ვინაიდან ამ პირობის შეუსრულებლობა საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ხელშეკრულების (საქართველოსა და თურქეთს შორის გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება³⁰) დარღვევა იქნება, რა თქმა უნდა, ამ დარღვევას შიდა კანონმდებლობის მოთხოვნები ვერ გაამართლებს.³¹ სხვა სიტყვებით, სახელმწიფოს მიერ კომპანიისთვის ექსპორტის უფლების შეზღუდვა, იმ პირობებში, როდესაც ამგვარი დაპირება უკვე გასცა, კანონიერი ვერ იქნება.

29 Técnicas Medioambientales Tecmed, S.A. v. The United Mexican States, ICSID Case No. ARB (AF)/00/2. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2T5FRh5>.

30 იხ., ხელშეკრულება თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ინვესტიციების ურთიერთნახილსებისა და დაცვის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uWJ3sA>.

31 საერთაშორისო სამართლის საბაზისო წესის თანახმად, მხარე საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევის გასამართლებლად ვერ დაეყრდნობა შიდა სამართლის დებულებებს, იხ., ვენის კონვენცია საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ, მუხლი 27, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RsyLmD>; ასევე, „მუხლები საერთაშორისო სამართლის დარღვევისთვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ“, მუხლები 3, 32, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3puvtMd>.

გადაწყვეტი ქსელის სახელმწიფოს მიერ კონტროლი და ფინანსური პასუხისმგებლობა ექსპორტის უფლების შეზღუდვისთვის

სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ მომზადებულ შეფასებაზე პასუხად, ეკონომიკის სამინისტრო ასევე აღნიშნავდა, რომ ვინაიდან ელექტროგადამცემი ქსელი მთლიანად სახელმწიფო კომპანიის (სსე) ხელშია, „ქვეყნის ენერგოსისტემა მთლიანად ექვემდებარება სტრატეგიულ კონტროლს და ემსახურება პირველ რიგში ქვეყნის შიდა მოთხოვნასა და საჭიროებებს.“ ელექტროგადამცემი ქსელის სახელმწიფოს მიერ კონტროლი ვერანაირად ვერ აბათილებს ნამახვანი ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანის უფლების კომპანიისთვის მინიჭების პრობლემურობის არგუმენტს. აქ საუბარია არა იმაზე, თუ ფაქტობრივად რას მოიმოქმედებს სახელმწიფო და, მაგალითად, უბრალოდ არ გააატარებს სადგურის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას შესაბამის ქსელში (მათ შორის, ხელშეკრულების დარღვევით), არამედ იმაზე, თუ რისი უფლება გადასცა სახელმწიფომ კომპანიას ხელშეკრულებით.

კომპანიას სრული უფლება აქვს, ნამახვანი ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია გაიტანოს ექსპორტზე არა-PPA პერიოდში, ხოლო კომპანიის ამ უფლების დარღვევა წარმოშობს მთავრობის შესაბამის პასუხისმგებლობას (რომელიც შეიძლება მოიცავდეს ფინანსურ პასუხისმგებლობასაც), მათ შორის, საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით.

ფინანსურ პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგადი მოწესრიგება, რომლის მიხედვით, მთავრობის მიერ ვალდებულების დარღვევა (ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება კომპანიისთვის მინიჭებული ექსპორტის უფლების შეზღუდვაც) წარმოშობს კომპანიის უფლებას, მოითხოვოს კომპენსაცია, მათ შორის, ზიანი და მიუღებელი შემოსავალი. გარდა ამისა, ხელშეკრულება შეიცავს კონკრეტულ ჩანაწერებს უშუალოდ ელექტროენერგიის ექსპორტის უფლებასთან მიმართებით.

ნამახვანი ჰესის ხელშეკრულება აწესრიგებს სახელმწიფო კომპანიის სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (სსე, სისტემა) მიერ ჰესისთვის საჭირო გადამცემი ხაზების მშენებლობის საკითხს. ამასთან, სსე ვალდებულია, უზრუნველყოს ელექტროგადამცემი ქსელის გამართული ფუნქციონირება, რათა ხელი არ შეეშალოს ნამახვანი ჰესის მიერ გამომუშავებული ენერგიის ქსელში მიწოდებას. სისტემის მიერ ამ ვალდებულებების დარღვევა მიიჩნევა „გადამცემი სისტემის შემთხვევად“ (“Transmission System Event”), რაც სსე-ს, საბოლოო ჯამში კი, სახელმწიფოს პასუხის-

მგებლობის საფუძველია.³² ელექტროენერგიის ექსპორტთან დაკავშირებით საინტერესოა ორი გარემოება: ა) ხელშეკრულების მიხედვით, გადამცემი სისტემა მოიცავს ექსპორტისთვის საჭირო გადამცემ ინფრასტრუქტურასაც, მათ შორის, თურქეთთან დამაკავშირებელ ხაზებს. შესაბამისად, როდესაც გადამცემი სისტემის შემთხვევა განიშარტება როგორც ნებისმიერი ხაზზე ხელმიუწვდომლობა ან შეზღუდვა, რაც პროექტის ოპერირების ცვლილებას იწვევს, ცხადი ხდება, რომ „გადამცემი სისტემის შემთხვევა“ შესაძლოა, მოიცავდეს კომპანიისთვის ექსპორტის უფლების შეზღუდვასაც, რა დროსაც სახელმწიფოს ფინანსური პასუხისმგებლობა დაეკისრება. ბ) ამ დასკვნას კიდევ უფრო ამყარებს, ხელშეკრულების 3.2.12 მუხლი, რომელიც დამატებით ანესრიგებს „გადამცემი სისტემის შემთხვევებს“. ამ მუხლის „ხ“ პუნქტი დასათაურებულია როგორც „გადამცემი სისტემის შემთხვევა“ და მასში, სსე-ს ისეთ ვალდებულებებთან ერთად, როგორიცაა გადამცემი სისტემის გამართული ფუნქციონირება და გადამცემ ქსელზე კომპანიის შეზღუდვა დამშვება, მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „მთავრობამ უნდა მიიღოს ყველა ზომა საიმისოდ, რათა 2022 წლის 1 იანვრამდე თურქეთამდე დამაკავშირებელი ხაზების სიმძლავრე გაიზარდოს 1400 მგვტ.-მდე.“ რატომ არის ეს ჩანაწერი პრობლემური უშუალოდ სახელმწიფოს ფინანსური პასუხისმგებლობის კრილში?

სამინისტრო თავის პასუხში აღნიშნავდა, რომ 1400 მგვტ.-მდე სიმძლავრის გაზრდის პირობა მკაცრი ვალდებულება არ არის და, მართლაც, ფორმულირება „ყველა ზომა მიიღოს“, დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ე.წ. „რბილი“ ვალდებულების აღმნიშვნელია. თუმცა, სამწუხაროდ, ნამახვანი ჰესის ხელშეკრულებაში მოცემული დებულებების სისტემური ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ ვალდებულების შეუსრულებლობამ, შესაძლოა, მაინც წარმოშვას სახელმწიფოს ფინანსური პასუხისმგებლობა. აღნიშნულის მიზეზი კი ისაა, რომ ეს ე.წ. „რბილი“ ვალდებულება, ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ, მოცემულია „გადამცემი სისტემის შემთხვევის“ პუნქტში; გარდა იმისა, რომ ამ პუნქტით განსაზღვრული სხვა პირობები ცალსახად სახელმწიფოს უპირობო ვალდებულებებია, აქ მოცემული ვალდებულებების დარღვევა წარმოშობს კომპენსაციის ვალდებულებას. მუხლის სათაურიც სწორედ ამას ნიშნავს — „გადამცემი სისტემის შემთხვევა“ სსე-ს და მთავრობის ფინანსური პასუხისმგებლობის საფუძველია.

ელექტროენერგიის ექსპორტზე გაბანა და უპირობო

სამინისტრო საპასუხო განცხადებაში მიუთითებს, რომ კომპანიას არ აქვს ექსპორტზე დაშვების გარანტირებული პირობა და მან მონაწილეობა უნდა მიიღოს შესაბამის აუქციონში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხელშეკრულების 3.2.12

32 სსე-ს მიერ კომპენსაციის გადაუხდელობის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურება მთავრობას ევალება.


მუხლის „ბ“ პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში ნათქვამია, რომ ქსელთან მიერთების ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, კომპანიას აქვს შეუზღუდავი უფლება, გამოიყენოს „გადამცემი სისტემის“ საჭირო სიმძლავრე ნებისმიერ დროს. როგორც ითქვა, „გადამცემი სისტემა“ მოიცავს მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელ ხაზებსაც (იხ., ხელშეკრულების 1.1 მუხლი „ტერმინთა განმარტება“) და, შესაბამისად, აქვს თუ არა კომპანიას საექსპორტო ხაზებზე დაშვება შესაძლოა, როგორც მინიმუმ, დავის საგანი გახდეს კომპანიასა და სახელმწიფოს შორის, რადგან ხელშეკრულება კომპანიის სასარგებლო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას აშკარად უშვებს. დამატებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთავრობა კომპანიას ანიჭებს უფლებას ელექტროენერგია გაიტანოს ექსპორტზე, ხოლო თავისთავად აუქციონის პირობების არსებობა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო კომპანიას ხელშეკრულებით უკვე განსაზღვრულ უფლებას შეუზღუდავს (აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, კომპანია განახორციელებს ექსპორტს), ხოლო ის, თუ რა სამართლებრივი და ფინანსური შედეგები შეიძლება მოჰყვეს კომპანიისთვის ამ უფლების შეზღუდვას ზემოთ უკვე იქნა განხილული.

დუსკენა

ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნათელი ხდება, რომ ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიას აქვს სრული უფლება, ექსპორტზე გაიტანოს ნამახვანი ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია არა-PPA პერიოდში. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიას ეს უფლება ხელშეკრულებით უკვე მინიჭებული აქვს, სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული დაპირების შეუსრულებლობა და ექსპორტის შესაძლებლობის შეზღუდვა სამართლებრივად შესასაძლებელი არ არის და, დიდი ალბათობით, გამოიწვევს სახელმწიფოს ფინანსურ პასუხისმგებლობას.

მაშინ, როდესაც ნამახვანის ჰესების კასკადის ხელშეკრულება შეიცავს არაერთ გარანტიას, საშეღავათო პირობას, რისკის დაზღვევას, მიწის, წყლის და სხვა ბუნებრივი რესურსების კომპანიისთვის გადაცემას, ლოგიკური და სამართლიანი იქნებოდა, სახელმწიფოს კომპანიისგან მოეთხოვა სადგურის მიერ გამომუშავებული ენერგიის საქართველოში დატოვება გარანტირებული შესყიდვისგან თავისუფალ პერიოდშიც. სწორედ მსგავსი ჩანაწერის არსებობის შემთხვევაში, შეიძლება, გვემსჯელა იმაზე, რომ აღნიშნული შედეგატების გადაცემისას სახელმწიფოს ინტერესი სწორედ ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ხელშეწყობა იყო. სხვა შემთხვევაში, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ენერგოდამოუკიდებლობის თუ ენერგოუსაფრთხოების შესახებ ხმამაღალი განცხადებები პროექტის მიმართ პროტესტის გამწვავების შემდეგ გაჩენილი არგუმენტი და არა ის მთავარი საკითხი, რაც უშუალოდ ხელშეკრულების გაფორმებისას იდგა დღის წესრიგში.

თავი 3.
გერემოსდაცვითი
გელანყვატილების მიღების
პროცესის შეფასება
ნამახვანის
ჰიდროელექტროსადგურების
კანკაღზე



შესავალი

ჰიდროელექტროსადგურების გავლენა ადამიანებზე, ადგილობრივ სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე იმდენად მაღალია, რომ 5 მგვტ.-ზე მეტი სიმძლავრის ჰესის მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საკანონდებლო წესებით დადგენილი პირობების მიხედვით მომზადება და მასზე სახელმწიფოს, კერძოდ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გარემოსდაცვითი გადანაცვტილების გაცემა.³³ ამ გადანაცვტილებით სახელმწიფო განსაზღვრავს გარემოზე მიყენებული ზიანის მასშტაბებს, მის შემარბილებელ, მაკომპენსირებელ ღონისძიებებს და შეფასების საფუძველზე მხარს უჭერს ან ეწინააღმდეგება შესაბამისი პროექტის განხორციელებას. საგულისხმოა, რომ მხოლოდ დადებითი გარემოსდაცვითი გადანაცვტილება შეიძლება გახდეს კონკრეტულ პროექტზე მშენებლობის ნებართვის გაცემის საფუძველი.

ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტი, დღეის მდგომარეობით, ორი, ზემო და ქვემო ნამახვანი ჰესებისგან შედგება. კასკადი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ენერგეტიკული პროექტია, მისი დადგმული სიმძლავრე ჯამურად 424 მგვტ.-ს შეადგენს, კერძოდ, ქვემო ნამახვანი ჰესი – 324 მგვტ.³⁴ და ზემო ნამახვანი ჰესი – 100 მგვტ.³⁵ ჰესის სიმძლავრის გათვალისწინებით, ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი გზშ პროცედურის გავლასა და გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გარემოსდაცვითი გადანაცვტილების გაცემას დაექვემდებარა.

აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს 2020 წლის 28 თებერვლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება მხოლოდ ქვემო ნამახვანი ჰესს უკავშირდება. დღეის მდგომარეობით ზემო ნამახვანი ჰესს გარემოსდაცვითი ნებართვა არ გააჩნია.

სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ აქვს წარმოდგენა ზემო ნამახვანი ჰესის გარემოზე ზემოქმედების თაობაზე, უცნობია რა გავლენა ექნება აღნიშნულ ჰესს ეკოლოგიაზე, დგილობრივ ჰაბიტატებსა და მოსახლეობაზე. ზემო და ქვემო ნამახვანი ჰესები ერთმანეთზე პირდაპირაა დამოკიდებული და ერთიან პროექტს წარმოადგენს. ზემო ნამახვანი ჰესზე გზშ ანგარიშის არარსებობის პირობებში, მოსალოდნელი ზეგავლენის სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, სრულიად ბუნდოვანია შეძლებს თუ არა ნამახვანის ჰიდროელექტროსადგური პროექტით განსაზღვრული მახასიათებლებით მუშაობასა და დაგეგმილი მოცულობის ელექტროენერგიის გამომუშავებას.

332მგვტ.-მდესიმძლავრისმქონეჰიდროელექტროსადგურებიგარემოსდაცვითიგადანაცვტილებისპროცედურისგან გათავისუფლებულია, ხოლო 2-5 მგვტ. სიმძლავრის ჰესები ექვემდებარება სვრინინგის პროცედურას, რომლის საფუძველზეც მიიღება გადანაცვტილება საჭიროებს თუ არა პროექტი გზშ-ს – გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი – დანართი I, II-ი. ბმული – <https://matsne.gov.ge/document/view/3691981?publication=7>

34 თავდაპირველად ნამახვანი-ჟონეთის დადგმული სიმძლავრე 333 მგვტ-ით იყო განსაზღვრული, თუმცა დღეის მდგომარეობით აღნიშნული სიმძლავრე შემცირდა და 324 მგვტ-ით განისაზღვრა.

35 ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის მონაცემები აღებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიდან. გზშ ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე – <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/17104>

ნამესვანის
ჰიდროელექტროსადგურების
პესკადზე 2011 და 2015 წლებში
მომზადებული გზშ ენგერიშები



ნამახვანი ჰესის 12 წლიანი ისტორია

ნამახვანი ჰესის კასკადის პროექტის განვითარებას საფუძველი 2009 წელს ჩაეყარა. პროექტმა განვლილი 12 წლის მანძილზე როგორც ტექნიკური, ისე ენერგეტიკული მახასიათებლები შეიცვალა. პროექტის ცვლილებების გათვალისწინებით კასკადზე რამდენიმე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მომზადდა, სამწუხაროდ, სიღრმისეული კვლევა ამ 12 წლის განმავლობაში მომზადებულ არც ერთ გზა ანგარიშში არ გვხვდება.

ნამახვანი, ტვიში, ჟონეთი

ჰიდროელექტროსადგურის სამი ჰესი

2011 წლის პროექტი

პროექტის საწყის ეტაპზე, 2011 წლის გზა ანგარიშის მიხედვით ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტი სამი ნაწილისგან შედგებოდა: ტვიშის, ნამახვანისა და ჟონეთის ჰესებისგან. პროექტის ჯამური სიმძლავრე 450 მგვტ იყო (ტვიში: 100 მგვტ, ნამახვანი: 250 მგვტ, ჟონეთი: 100 მგვტ) და წლიურად 1600 გვტ.სთ. ელექტროენერგიის გამომუშავება იყო დაგეგმილი.³⁶

თავდაპირველ პროექტს კრიტიკული შეფასება მოჰყვა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. „მწვანე ალტერნატივას“ შეფასებების მიხედვით, პროექტში სათანადოდ არ იყო გათვალისწინებული ტერიტორიის სეისმური მდგრადობა, ასევე მიკროკლიმატის ცვლილებების გავლენა ბუნებრივ ჰაბიტატებზე, ადგილობრივ ფლორასა და ფაუნაზე. პროექტის განხორციელების შემთხვევაში 200-ზე მეტ ოჯახს განსახლება ემუქრებოდა, რაც მნიშვნელოვან სოციალურ ზეგავლენას გამოიწვევდა.³⁷ 2012 წლის თებერვალში, განმახორციელებელმა კომპანიებმა ვალდებულებების შეურსრულებლობის გამო პროექტი დატოვეს.³⁸ ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობა შეჩერდა. შესაბამისად, მომზადებული გზა-ანგარიშის განხილვაც შეწყდა.

36 „ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადი (პროექტი) – იბ. ბმული – http://greenalt.org/old/map/text/namaxvan_hesi/namaxvan_hesi.html

37 „ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადი (პროექტი) – იბ. ბმული – http://greenalt.org/old/map/text/namaxvan_hesi/namaxvan_hesi.html

38 იქვე

ნამახვანი-ჟონეთი, ტვიში

ჰიდროელექტროსადგურის ორი ჰესი

2015 წლის პროექტი

ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის განხორციელების მიზნით 2012 წელს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმებით, სააქციო საზოგადოება „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით სააქციო საზოგადოება „ნამახვანი“ დააარსა.³⁹ 2012-2015 წლებში სს „ნამახვანის“ მიერ სამომავლო სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად განხორციელდა გარკვეული სამუშაოები, მათ შორის, ადგილობრივი მოსახლეობის მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის მიმართულებით.

ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობისთვის სახელმწიფოს მიერ დაარსებული სააქციო საზოგადოება „ნამახვანი“ 2015 წელს გარემოსდაცვითი ნებართვის მოპოვების მიზნით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარუდგენს ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის ახალ გზშ ანგარიშს. ანგარიშის მიხედვით, კასკადი ორი ჰესისგან შედგება – ტვიში ჰესი (ზემო ნამახვანი) დადგმული სიმძლავრით 100 მგვტ. და ნამახვანი-ჟონეთი (ქვემო ნამახვანი) ჰესი, დადგმული სიმძლავრით 333 მგვტ. საპროექტო არეალად ცაგერისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიები განისაზღვრა.

2015 წლის პროექტის გზშ ანგარიში ასევე არ აღმოჩნდა საკითხის სრული შესწავლითა და გამოკვლევებით შედგენილი. ანგარიში კრიტიკულად შეაფასა ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“. დასკვნის შესაბამისად, პროექტი სოციალურ და ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ზეგავლენისა და განხორციელების მიზანშეწონილობის თვალსაზრისით უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო. გზშ-ანგარიში არ მოიცავდა ინფორმაციას ადგილობრივი მოსახლეობაზე პროექტის ირიბი ზეგავლენის შესახებ, ამასთან არ იყო განხილული ჰესების კასკადის კუმულაციური ზემოქმედება და მისი გავლენის ხარისხი ადგილობრივ გარემოზე.⁴⁰ „მწვანე ალტერნატივა“ საკუთარ შეფასებაში ასევე საუბრობს ანგარიშის შემდგენი კომპანიის, „გამა კონსალტინგის“ მანკიერ პრაქტიკაზე და სხვადასხვა პროექტიდან დაკოპირებულ მონაცემებზე, რაც პროექტის ხარისხის თაობაზე დასაბუთებულ ეჭვებს ქმნიდა.⁴¹

39 „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას ახალი შვილობილი კომპანია ჰყავს“ – 03.02.2012 წ. – იბ. ბმული – <https://www.gogc.ge/ka/article/saqartvelos-navtobisa-da-gazis-korporacias-axali-shvilobili-kompania-hyavs/334>

40 „ასოციაცია მწვანე ალტერნატივას შენიშვნები“ 22.12.2015წ. – http://greenalt.org/wp-content/uploads/2016/02/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_GA_%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98.pdf

41 იქვე – თავი 2 „პროექტის ხარისხი“

ნამახვანის ჰესების კასკადის გზა ანგარიშზე მრავალი კითხვის ნიშნის არსებობის მიუხედავად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ 2015 წლის 25 დეკემბერს პროექტზე დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N73 გასცა, რომლითაც პროექტის განხორციელება შესაძლებლად მიიჩნია.⁴²

2015 წლის დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტმა იმავე წელს მშენებლობის ნებართვის უფლება მოიპოვა.⁴³ თუმცა პროექტის განხორციელება და სამშენებლო სამუშაოები ვერ დაიწყო.

პროექტის ტექნიკური მახასიათებლების ცვლილების გათვალისწინებით, 2015 წლის დადებითმა ეკოლოგიურმა დასკვნამ, როგორც ქვემო, ისე ზემო ნამახვანის ჰესის შემთხვევაში იურიდიული ძალა დაკარგა.

საგულისხმოა, რომ ქვემო ნამახვანი ჰესზე 2020 წელს ახალი გარემოსდაცვით ნებართვა გაიცა, თუმცა ზემო ნამახვანი ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასება და მასზე გარემოს დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილება ჯერ კვლავ არ არსებობს.

42 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის 25 დეკემბერის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/16968>

43 „ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის განხორციელებისათვის მშენებლობის ნებართვა გაიცა“ – 02.02.2016 წ. – იხ. ბმული – <https://www.interpressnews.ge/ka/article/364529-namaxvan-hesebis-kaskadis-proektis-ganxorciebtvis-msheneblobis-nebartva-gaica/>

ზემო ნემესჳანი ჰესს
გერემოსდუცჳითი ნებართჳე
ერ ექჳს



2019 წლის 18 იანვარს სს „ნამახვანმა“ წერილით მიმართა საქართველოს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და აცნობა, რომ პროექტის ოპტიმიზაციის მიზნით კასკადის სამშენებლო ობიექტებზე, როგორც ქვემო, ისე ზემო ნამახვანი ჰესზე დაგეგმილი იყო ტექნიკური მახასიათებლების ცვლილება. კერძოდ, წარდგენილი განცხადებით ირკვეოდა, რომ ზემო ნამახვანის ჰესის შენობა, რომელიც თავდაპირველი (2015 წლის) პროექტის მიხედვით განცალკევებით უნდა აშენებულიყო იცვლიდა ადგილმდებარეობას და უშუალოდ კაშხლის კონსტრუქციაში აშენდებოდა. ამასთან, ჰესის შენობასთან მდინარის ქვედა ბიეფის დაწვევის მიზნით სოფელ ორხვის ხიდის მიმართულებით მდინარე რიონის კალაპოტის ჩაღრმავება იგეგმებოდა.⁴⁴

კომპანიის 2019 წლის 18 იანვრის წერილს თან ერთვის „გამა კონსალტინგის“ მიერ მომზადებული ანგარიში. ანგარიშში საუბარია პროექტში შესული ცვლილებების მნიშვნელობაზე და ოპტიმიზაციის აუცილებლობაზე. საგულისხმოა, რომ მითითებული ანგარიში 2015 წლის გზა ანგარიშისა და მის საფუძველზე გაცემული დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის N73 დასკვნის კრიტიკას წარმოადგენს.

„გამა კონსალტინგი“, რომელიც 2015 წლის გზა ანგარიშის ავტორია, თავად მიუთითებს ანგარიშის მნიშვნელოვან ხარვეზებზე და მისი გამოსწორების აუცილებლობაზე.⁴⁵

წარდგენილი წერილისა და ანგარიშის საფუძველზე, გარემოს დაცვის სამინისტროს უნდა შეეფასებინა, რამდენად ექვემდებარებოდა აღნიშნული ცვლილება გარემოზე მიყენებული ზიანის რისკის ზრდას და შესაბამისად, საჭირო იყო თუ არა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ახალი ანგარიშის მომზადება. სს „ნამახვანი“ პროექტის ოპტიმიზაციის მიზნით დაგეგმილ ცვლილებებს ძირითად შემთხვევებში უმნიშვნელო ზეგავლენად განიხილავდა, თუმცა სამინისტრომ საკუთარ გადანაცვეტილებაში აღნიშნა, რომ –

„ტვიში ჰესის (ზემო ნამახვანი) პროექტის ცვლილება, მდინარე რიონის კალაპოტის დაღრმავება გამოიწვევს ქვედა ბიეფის დონის დაღრმავებას, შესაბამისად დაირღვევა ფერდობების დინამიკური წონასწორობა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მეწყრული პროცესების გააქტიურება და გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება.“⁴⁶

44 სკრინინგის განცხადება – 18.01.2019 – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/8374>

45 იქვე – გვ. 3, გვ. 6-25.

46 ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებებზე (ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) სკრინინგის გადანაცვეტილების შესახებ – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 14 თებერვლის N2-143 ბრძანება – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/13031>

აღნიშნულის საფუძველზე სამინისტროს გადაწყვეტილებით წარმოდგენილ ცვლილებები იწვევდა პროექტის ექსპლუატაციის პირობების მნიშვნელოვან ცვლილებას, რაც, თავის მხრივ, იწვევდა გეოლოგიურ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკების გაზრდას. ცვლილებების გათვალისწინებით ორივე ჰესის, როგორც ქვემო, ისე ზემო ნამახვანი ჰესების პროექტი ახალი გზა-ანგარიშის მომზადებას დაექვემდებარა.⁴⁷

შესაბამისად, სამართლებრივი ძალა დაკარგა სამინისტროს 2015 წლის 25 დეკემბერის N73 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნამ. ტექნიკური მახასიათებლების ცვლილების გათვალისწინებით შეუძლებელია სახელმწიფო რაიონ ფორმით ისევ ეყრდნობოდეს ძველი მახასიათებლებით მომზადებულ კვლევებს. აღნიშნული როგორც კანონმდებლობის, ისე გარემოსდაცვითი სტანდარტების დარღვევას წარმოადგენს.

ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის განახლებული პროექტის შესახებ, ახალი გზა-ანგარიშის მომზადების თაობაზე, გარემოს დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილების მიუხედავად, პროექტის განმახორციელებელი კომპანია მხოლოდ ქვემო ნამახვანი ჰესის პროექტის ცვლილებების გზა-ანგარიშს წარადგენს. ანგარიში არ ეხება ზემო ნამახვანი ჰესს.

ეროვნული კანონმდებლობა ერთმანეთზე დამოკიდებული ჰესების კასკადის ნებართვის დაყოფის ცნებას არ ითვალისწინებს.

ზემო და ქვემო ნამახვანი ჰესები ერთმანეთზე პირდაპირ არიან დამოკიდებული და საერთო პროექტს წარმოადგენენ. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ამ ტიპის ობიექტების კუმულაციური ზემოქმედების მასშტაბი სიღრმისეული შეწავლის საგანი უნდა იყოს, ნებართვების დაყოფა და ამ ჰესების გარემოზე ზემოქმედების ცალ-ცალკე, დანაწევრებულად შეფასება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გარემოსდაცვითი პრინციპების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების სანდარტების დარღვევასა და უგულებელყოფას წარმოადგენს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებული იყო ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის სრული პროექტის გზა-ანგარიში მოეთხოვა, რომელიც სრულად ასახავდა კასკადის შემადგენელი ორივე ჰესის სრულყოფილ გამოკვლევას, ჰესების კუმულაციურ ზემოქმედებას და მხოლოდ შემდეგ გაეგრძელებინა ადმინისტრაციული

47 ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებებზე (ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 14 თებერვლის N2-143 ბრძანება – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/13031>

წარმოების ეტაპზე ანგარიშების შეფასება.⁴⁸ აღნიშნულის საპირისპიროდ, სამინისტრომ ადმინისტრაციული წარმოება მხოლოდ ქვემო ნამახვანის ჰესის ცვლილებების თაობაზე გააგრძელა და საბოლოოდ გადაწყვეტილებაც მხოლოდ ქვემო ნამახვანი ჰესზე მიიღო.

აღნიშნულ პირობებში, დღეის მდგომარეობით ზემო ნამახვანი ჰესს გარემოსდაცვითი ნებართვა არ გააჩნია. შეუფასებელი რჩება ქვემო და ზემო ნამახვანი ჰესების გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების ხასიათი და მასშტაბები. ამასთან, უცნობია, თუ როდის შეასრულებს საქმიანობის განმახროციელბელი კომპანია სამინისტროს მოთხოვნას, ზემო ნამახვანის ჰესის პროექტში ცვლილებების შეტანის თაობაზე ახალი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების ნაწილში და როგორ უზრუნველყოფს გარემოს დაცვის სამინისტრო კომპანიისთვის დაკისრებული ვალდებულების აღსრულებას.

ზემო ნამახვანი ჰესის პროექტის შეუფასებლობის მიუხედავად, გარემოს დაცვის სამინისტრომ ქვემო ნამახვანი ჰესზე 2020 წლის 28 თებერვალს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გასცა.⁴⁹ გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი ფაქტობრივი უზუსტობებითა და სამართლებრივი ხარვეზებით ხასიათდება, რაც კანონმდებლობის შესაბამისად მისი გაუქმების საფუძველს ქმნის.

48 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 83

49 წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში, შპს „ენკა რინიუებლობის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი – 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე (ქვედა ნამახვანი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ – 28.02.2020 წ. – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/28460>

რატომ ერის უკანონო ნაგებანის
ჰიდროელექტროსადგურის
გერემოსდაცვითი გელანყვებილება



2018 წლიდან ქვეყანაში გარემოზე ზემოქმედების შეფასების კანონმდებლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა და საგრძნობლად დაუახლოვდა საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს.⁵⁰ კანონმდებლობით გარემოზე ზემოქმედების რისკების მაქსიმალური შემცირებისა და ინფორმაციის საჭაროობის მეტად უზრუნველყოფის მიზნით დამატებით განისაზღვრა საქმიანობის სკრინინგისა⁵¹ და სკოპინგის⁵² პროცედურები. ამასთან, როგორც სკრინინგისა და სკოპინგის, ისე გზმ-ანგარიშის განხილვის ეტაპი სავალდებულოდ ითვალისწინებს საზოგადოების მაქსიმალურ ინფორმირებას, საჭარო განხილვების ორგანიზებასა და დაინტერესებული პირებისთვის ადმინისტრაციული წარმოების მასალების სრულად მიწოდების მოთხოვნას.⁵³ სავალდებულოა დაინტერესებული პირების მიერ გამოთქმული მოსაზრებების ანგარიშში ასახვა და დასმულ შეკითხვებზე ამომწურავი პასუხების გაცემა. დადებითი გარემოსდაცვითი გადანყვეტილების გაცემა მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი ყველა მოთხოვნის შესრულების და სრული ინფორმაციის სათანადო შეფასების შედეგად არის შესაძლებელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2019 წლის 18 იანვარს სს „ნამახვანმა“ გარემოს დაცვის სამინისტროს აცნობა, რომ ქვემო ნამახვანი ჰესის ტექნიკური მახასიათებლები იცვლებოდა, კერძოდ, იგეგმებოდა ჰესის შენობის გადატანა უშუალოდ კაშხლის კონსტრუქციაში, იცვლებოდა სადერივაციო გვირაბის მდებარეობა და იზრდებოდა წყალსაცავის შეტბორვის არეალი.⁵⁴ ქვემო ნამახვანი ჰესის პროექტი, ტექნიკური მახასიათებლების ცვლილების გათვალისწინებით, ვალდებული გახდა ახალი კანონმდებლობით დადგენილი განახლებული პროცედურები გაეცლო. ჰიდროელექტროსადგურის პროექტმა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი სკრინინგისა და სკოპინგის პროცედურები მნიშვნელოვანი დარღვევებით გაიარა და მასზე დადებითი გარემოსდაცვითი ნებართვა გაიცა. პროცესის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე არაერთი სამართლებრივი დარღვევა ვლინდება.

50 „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ – 01.06.2017 წ. – იხ. ბმული – <https://matsne.gov.ge/document/view/3691981?publication=7>

51 სკრინინგის ეტაპზე მიიღება გადანყვეტილება, საჭიროებს თუ არა კონკრეტული ობიექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებას. კოდექსით გათვალისწინებული ცალკეული საქმიანობები (მოცემული პირველ დანართში) სავალდებულოდ ექვემდებარებიან გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებას. ხოლო მეორე დანართში არსებული საქმიანობების თაობაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო შეფასების შედეგად იღებს გადანყვეტილებას ექვემდებარება თუ არა საქმიანობა გზმ ანგარიშის მომზადებას. – იხ. ბმული – <https://matsne.gov.ge/document/view/3691981?publication=7> – დანართი 1, დანართი 2

52 სკოპინგის განცხადება მოიცავს გზმ ანგარიშში გამოსაყენებელი ზოგადი ინფორმაციის ჩამონათვალს, განსახორციელებელი საქმიანობის სახეებსა და ჩასატარებელი კვლევების ანალიზს მომზადებას. – იხ. ბმული – <https://matsne.gov.ge/document/view/3691981?publication=7> – მუხლი 8, მუხლი 9

53 საჭარო განხილვა უნდა ჩატარდეს როგორც სკოპინგის ანგარიშის, ისე გზმ ანგარიშის თაობაზე. რაც შეეხება სკრინინგის ანგარიშს, ამ შემთხვევაში ინფორმაცია სრულად უნდა გამოქვეყნდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე – იხ. ბმული – <https://matsne.gov.ge/document/view/3691981?publication=7> – მუხლი 7, ნაწილი 5, მუხლი 9 – ნაწილი 3, მუხლი 12 ნაწილი 5.

54 სკრინინგის განცხადება – 18.01.2019 – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/8374>

საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩვეულორი ჩართულობის გარეშე მიღებული გადაწყვეტილება

2019 წლის 17 ივნისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე შპს „ენკა რინიუებლზის“⁵⁵ მიერ წარდგენილი სკოპინგის ანგარიში განთავსდა. დაინტერესებული პირებისათვის შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის ვადად 2019 წლის 9 ივლისი განისაზღვრა. 2019 წლის პირველ აგვისტოს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნით მიმართა შპს „ენკა რინიუებლზს“.⁵⁶ ხოლო სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, 2019 წლის 6 სექტემბერს, 14:00 საათზე ჩაინიშნა. თუმცა, საგულისხმოა, რომ განხილვის თარიღი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის 2 სექტემბრის წერილის საფუძველზე შეიცვალა და 14:00 საათის ნაცვლად 10:00 საათით განისაზღვრა.⁵⁷ იმ პირობებში, როდესაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობა საპროექტო არეალიდან საკმაოდ დაშორებულ ადგილს წარმოადგენს, ადგილობრივი მოსახლეობისათვის განხილვის დროის ცვლილება მნიშვნელოვნად აბრკოლებდა საჯარო განხილვაზე დასწრების შესაძლებლობას.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა 2019 წლის 20 დეკემბერს, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში გაიმართა.

კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო განხილვა საპროექტო არეალიდან ყველაზე ახლოს მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში უნდა ჩატარდეს.⁵⁸ მითითებული რეგულაციის მიზნობრიობას დაინტერესებული პირებისა და ადგილობრივი მაცხოვრებლების პროცესში ჩართულობის მაქსიმალური უზრუნველყოფა წარმოადგენს.

აღნიშნული საკანონმდებლო სტანდარტის მიუხედავად, როგორც სკოპინგის, ისე გზა ანგარიშის საჯარო განხილვა, უშუალოდ საპროექტო არეალიდან თითქმის 50 კმ.-ით დაშორებულ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში გაიმართა.

55 2019 წლის 27 მაისს სს „ნამახვანმა“ ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით გაცემული 2015 წლის 25 დეკემბრის N73 დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივი უფლებამოსილებები სრულად გადასცა შპს „ენკა რინიუებლზს“-ს – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-451 ბრძანება – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/16969>

56 საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია – 20.08.2019წ. იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/16867>

57 საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია – 02.09. 2019წ. იხ. ბმული <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/16905>

58 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი – მუხლი 9, ნაწილი 3, მუხლი 12, ნაწილი 5 – იხ. ბმული -<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981>

აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიიდან მუნიციპალიტეტის ცენტრამდე მოსახვედრად საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ ფუნქციონირებს, ხოლო მოსახლეობას გადაადგილებისათვის დაახლოებით 2-3 საათი სჭირდება. მაშინ, როდესაც უშუალოდ საპროექტო არეალში რამდენიმე ადმინისტრაციული შენობა, მათ შორის სკოლა და ბაღი მდებარეობს, ხოლო მოსახლეობის დასწრების ინტერესი მაღალია, სამინისტრო ვალდებული იყო, დაეკმაყოფილებინა დაინტერესებული პირების ინტერესი და ყველა ადამიანისთვის მიეცა საჭარო განხილვაზე დასწრების თანაბარი შესაძლებლობა.

აღნიშნული დაბრკოლების მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილმა მაინც მოახერხა საჭარო განხილვაზე დასწრება. თუმცა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში გამართულ საჭარო განხილვაზე მისული ადგილობრივი მოსახლეობის რელევანტური და კრიტიკული შეკითხვები უმეტეს შემთხვევაში პასუხგაუცემელი დარჩა.⁵⁹ ადგილობრივ მოსახლეობას არ მიენოდა სრული და ამომწურავი ინფორმაცია კომპანიის მიერ წარდგენილი კვლევების, განსახორციელებელი სამუშაოების ზეგავლენის, შესაძლო საფრთხეებისა და რისკების თაობაზე.

მითითებული გარემოებები აჩვენებს, რომ ნამახვანი ჰესის გარემოსდაცვითი გადანაწევების მიღების პროცესში საზოგადოების სათანადო ჩართულობა უზრუნველყოფილი არ ყოფილა. ევროკავშირის გარემოსდაცვითი სამართლის⁶⁰ და ორჰუსის კონცენციის⁶¹ შესაბამისად, ქვეყანაში 2018 წლიდან მოქმედი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი განსაზღვრავს, რომ გადანაწევების მიღების ნებისმიერ სტადიაზე სამინისტრო ვალდებულია, უზრუნველყოს საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების მაქსიმალური ინფორმირება და მათი ჩართულობა. კოდექსის შესაბამისად, საჭარო განხილვა გამჭვირვალედ, საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფით უნდა განხორციელდეს. მხოლოდ მსგავსი სახით ჩატარებული საჭარო განხილვა წარმოადგენს გარემოსდაცვითი გადანაწევების მიღების საფუძველს. საჭარო განხილვის პროცედურის დარღვევა, დაინტერესებული პირების უფლების შეზღუდვა და საზოგადოებისათვის არასრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება გარემოსდაცვითი გადანაწევების მიღების პროცედურული ნაწილის მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენს. როგორც საერთაშორისო სტანდარტების, ისე შიდასაკანონმდებლო მოწესრიგების შესაბამისად, დაინტერესებული პირებისა და საზოგადოების რეალური ჩართუ-

59 „ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის გარემოზე გემოქმედების შეფასების ანგარიშის საჭარო განხილვის კანონდარღვევით ჩატარების შესახებ“ – 23.12.2019 წ. – იბ. ბმული – <https://emc.org.ge/ka/products/gantskhadebanamakhvanis-hesebis-kaskadis-proektis-garemoze-zemokmedebis-shefasebis-angarishis-sajaro-gankhilvis-kanondarghvevebit-chatarebis-shesakheb>

60 Environment Impact Assessment EIA Directive- იბ. ბმული – <https://ec.europa.eu/environment/eia/eia-legalcontext.htm>

61 „გარემოსდაცვითსაკითხებთანდაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანაწევების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობისა და ამ სფეროში მართმასუჭულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონცენცია – იბ. ბმული – <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1210443?publication=0>

ლობის გარეშე ჩატარებული საჯარო განხილვა გარემოსდაცვითი გადანაცვითების გაუქმების საფუძველია.

ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის საჯარო განხილვის მსგავსმა პროცედურამ სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენა, რომ კანონმდებლობის გაუმჯობესების მიუხედავად, სახელმწიფოს პრაქტიკა უცვლელი რჩება. საზოგადოების ჩართულობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. ადგილობრივ მოსახლეობას არ მიეწოდება სათანადო ინფორმაცია პროექტის შესაძლო დადებით ან უარყოფით გავლენებზე, მათ შემამსუბუქებელ ღონისძიებებზე. მოსახლეობის ობიექტური შეკითხვები, მათ შორის, პროექტების განხორციელების აუცილებლობის, ეკონომიკური დასაბუთების და ადგილობრივების, კუთხის თუ თემისთვის კონკრეტული პროექტის სარგებლიანობის თაობაზე, სახელმწიფოს მიერ კვლავ პასუხგაუცემელი რჩება.

არსებული კვლევები და პირობიანი გარემოსდაცვითი გადანაცვითება

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის უპირველესი მიზანი დაგეგმილი საქმიანობის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასებაა⁶².

საქმიანობის ნებისმიერი განმახორციელებელი ვალდებულია, სრულად და ყოვლისმომცველად შეისწავლოს საქმიანობის შესაძლო გავლენა ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებზე, მათ შორის, ზეგავლენა როგორც გარემოსდაცვითი, ისე ეკონომიკური სარგებლიანობის თუ ზიანის კუთხით.⁶³

შეფასებული უნდა იქნეს გავლენის ხარისხი, მისი შემარბილებელი თუ აღმომფხვრელი ღონისძიებები და ანგარიშში ადგილობრივი კონტექსტის სრული სურათი წარმოჩინდეს. სახელმწიფომ მხოლოდ მსგავსი სახის, დეტალურად შესწავლილი ინფორმაციის გაანალიზების შედეგად უნდა მიიღოს საქმიანობის განხორციელებაზე რაიმე სახის გადანაცვითლება.

შპს „ენკა რინიუებლზის“ მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი გზა ანგარიში ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს. ანგარიში ვერ პასუხობს პროექტის უსაფრთხო-

62 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი 2, ნაწილი პირველი, „ა“ ქვეპუნქტი – იხ. ბმული -<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981>

63 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი 2, ნაწილი პირველი, „გ“ ქვეპუნქტი – იხ. ბმული -<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981>

ბის მოთხოვნებს. სამინისტროში წარდგენილი გეოლოგიური და სეისმოლოგიური კვლევები დარგის სპეციალისტების განცხადებით შეუძლებელია ჩაითვალოს სრულყოფილად.⁶⁴ კომპანიის მიერ ასევე არასათანადოდ არის გამოკვლეული პროექტის ჰიდროლოგიური მახასიათებლები, კერძოდ, მდინარე რიონის არსებული ჰიდროლოგიური რესურსისა და ეკოლოგიური ხარჯის მოცულობები. წარდგენილი ანგარიში ადგილობრივი წარმოების პროდუქტებზე მიკროკლიმატის გავლენის შესაფასებლად საკმარის მონაცემებს არ შეიცავს. შესაბამისად, რთულია გავლენის შეფასება და მისი შემცირებისა და შემამსუბუქებელ ზომებზე მსჯელობა.⁶⁵ ყოველივე ზემოაღნიშნული გზმ ანგარიშის ის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელთა წინასწარი შეფასება პროექტის განხორციელებაზე დადებითი გადაწყვეტილების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. არასრულფასოვანი კვლევების ფონზე, ანგარიშის მიღება და პროექტის დადებითად შეფასება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

საინტერესოა, რომ გზმ ანგარიშში არსებული კვლევების არასრული ხასიათი თავდაპირველად გარემოს დაცვის სამინისტრომაც აღიარა, როდესაც 2020 წლის 21 იანვრის წერილით კომპანიას დამატებით 22 სახის კვლევაზე მიუთითა, რომელიც სავალდებულოდ უნდა ყოფილიყო გზმ ანგარიშში და მათი არარსებობის საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოება შეაჩერა.⁶⁶ შპს „ენკა რინიუებლზმა“ მოთხოვნილი ინფორმაციის სრულად წარდგენის ნაცვლად, 2020 წლის 27 იანვარს სამინისტროში გაგზავნილ წერილში განმარტა, რომ მოთხოვნილი კვლევების ნაწილი უკვე იყო ანგარიშში, ნაწილი კი პროექტის ცვლილების ფარგლებს სცდებოდა და ინფორმაცია 2015 წლის გზმ-ანგარიშში იყო ასახული.⁶⁷ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება კომპანიის მიერ დამატებით წარდგენილი წერილისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე გაგრძელდა. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სამინისტრომ ვერ მოახერხა კომპანიისგან დამატებით მოთხოვნილი კვლევები მიეღო. ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების და სავალდებულო კვლევების წარმოუდგენლობის შემდეგ კი, წარმოების შეწყვეტის ნაცვლად, სამინისტრომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გასცა. გადაწყვეტილება პირობიანია და მასში მითითებულია 25-მდე სავალდებ-

64 „არსებული გათვლით, ქვედა ნამახვანში ჰესი 5 მაგნიტუდა მიწისძვრასაც ვერ გაუძლებს, რატაში 1991 წელს 7 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა“ – 05.03.2020 წ. – იხ. ბმული – <https://netgazeti.ge/news/431863/>

65 „ცაგერისა და ონის მუნიციპალიტეტებში მიმდინარე ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული გამოწვევები“ გვ. 8-9 – „მწავანე ალტერნატივა“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“- იხ. ბმული – http://greenalt.org/wp-content/uploads/2019/11/cagerisa_da_onshi_hesebis_mSeneblobasTan_dakavSirebuli_gamowvevebi.pdf

66 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 21 იანვრის N729/01 წერილი – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/19341>

67 შპს „ენკა რინიუებლზის“ 2020 წლის 27 იანვრის წერილი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/19341>

ბულოდ წარმოსადგენ კვლევებზე, რომელთა უმრავლესობა კომპანიამ მშენებლობის დაწყებამდე უნდა შეასრულოს.⁶⁸

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი სრულად და ამომწურავად განსაზღვრავს იმ ინფორმაციის ფარგლებს, რომელსაც გზშ-ანგარიში უნდა მოიცავდეს და რომლის საფუძველზეც, სამინისტრო უფლებამოსილია, გასცეს დადებითი ნებართვა.⁶⁹

კოდექსი არ იცნობს რამე სახის პირობიანი ნებართვის გაცემის შესაძლებლობას, ამგვარი მიდგომა პირდაპირ ეწინააღმდეგება გარემოსდაცვით პრინციპებს. დაუშვებელია პროექტზე სრული და ყოველმხრივი ინფორმაციის არსებობის, მისი სავალდებულო საექსპერტო შეფასების გარეშე მიღებული იქნეს რაიმე სახის გადაწყვეტილება.

პირობიანი გადაწყვეტილება, ერთგვარად „ბრმა“ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას წარმოადგენს, როდესაც სახელმწიფოს ადგილობრივი გარემოს თაობაზე სრული და ყოვლისმომცველი შეფასება არ გააჩნია. აღნიშნული გარემოსდაცვითი სტანდარტების მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენს და კანონმდებლობის საფუძველზე ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის – გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს ქმნის.

საგულისხმოა, რომ პირობიანი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობის პირობებში კომპანიის მიერ დამატებით წარმოდგენილი კვლევების შეფასება, საჯარო განხილვის ჩატარების უზრუნველყოფა და საზოგადოების ამომწურავი ინფორმირება არ ხორციელდება. ბოლო ერთი წლის მანძილზე, შპს „ენკა რინიუებლზმა“ გარემოს დაცვის სამინისტროს რამდენიმე დამატებითი კვლევა წარუდგინა. სამინისტრომ კვლევები დაინტერესებული პირების, ადგილობრივი მოსახლეობისა და დარგის ექსპერტების შეფასების გარეშე შეიტანა. მსგავს პირობებში შეუძლებელია ვიმსჯელოთ, თუ რამდენად სიღრმისეულად შეასრულა შპს „ენკა რინიუებლზმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობები და უზრუნველყოფს თუ არა დამატებით წარდგენილი ინფორმაცია გზშ ანგარიშის ნაკლოვანებების შევსებას.⁷⁰

68 წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში, შპს „ენკა რინიუებლზის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტეიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი – 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე (ქვედა ნამახვანი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ მ– 28.02.2020 წ. – მუხლი 5-30 – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/28460>

69 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი 10 – იხ. ბმული – <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981>

70 „მოკლედ ნამახვანი ჰესის დარღვევებზე“ – 01.02.2021 წ. – იხ. ბმული – http://greenalt.org/mokled_namokhvanis_hesis_dargvevებზე/

პირობების შეუსრულებლობის გამო შპს „ენკა რინიუებლზი“ დაჯარიმდა

აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობები შპს „ენკა რინიუებლზს“ სრულად ჯერ ისევ არ შეუსრულებია. 2021 წლის 18 იანვარს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამუშაოების ინსპექტირებისას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დარღვევა დააფიქსირა და მშენებელი კომპანია ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსის საფუძველზე 2 000 ლარით დააჯარიმა.⁷¹ ადმინისტრაციული სამართლადარღვევის ოქმით დადგენილი იქნა, რომ კომპანიამ გარემოს დაცვის სამინისტროში პროექტის მშენებლობის დაწყებამდე არ წარადგინა:

- მშენებლობის სატრანსპორტო სქემა ქ. ქუთაისის შემოვლით
- ფუჭი ქანების სანაყარო პროექტები
- ტვიშის ზონაში წარმოებული ყურძნისა და ღვინის ხარისხობრივ მახასიათებლებზე მონიტორინგის მონაცემები და შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები
- სამშენებლო პროექტების/ბანაკების პროექტები

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა ასევე დაადგინა, რომ კაშხლის მშენებლობის დაწყებამდე კომპანია ვალდებული იყო, სამინისტროში სიღრმისეული წყალსაგდებებით გატარებული ნაკადის ენერგიის ჩაქრობის პირობები წარედგინა. თუმცა აღნიშნული ასევე არ შესრულდა.

უცნობია, რამდენად შეძლებს კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა პროექტის განმახორციელებელი კომპანიის იძულებას, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების დაუყოვნებლივი შესრულება და სამინისტროს სრულად წარუდგინოს სავალდებულო გარემოსდაცვითი კვლევები. მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ცხადად აჩვენებს, პირობიანი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების უკანონო ხასიათსა და არაქმედით პრაქტიკას.

71 ნამახვანჰესების კასკადის მშენებლობა კანონის დარღვევით მიმდინარეობს – მწვანე ალტერნატივა – 22.02.2021 წ. – იბ. ბმული – https://reginfo.ge/environment/item/21167-namaxvan-besebis-kaskadis-mshenebloba-kanonis-dargvevit-mimdinareobs-%E2%80%9393-mxvane-alternativa?fbclid=IwAR3HieT_QlXfjsmfUPTXcpCrMWa1kjGGDOSpCWJss9SDakxJADMOeEHY6o

ირსებული კვლევა: რამდენად არის წარმოდგენილი კვლევა დასაბუთებული გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და ეკოლოგიური მიმართულებით?

ქვემო ნამახვანი ჰესის გზა-ანგარიში „გამა კონსალტინგის“ მიერ არის შედგენილი. აღნიშნულ კომპანიას უკავშირდება საქართველოში არსებული თითქმის ყველა ჰიდროელექტროსადგურის ანგარიში. მათ შორის, „გამა კონსალტინგის“ მომზადებულია შუახევი ჰესის გზა-ანგარიში,⁷² რომელმაც ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ მნიშვნელოვანი ავარია განიცადა და აღმოჩნდა, რომ სადერივაციო გვირაბი სათანადოდ და სრულყოფილი გამოკვლევის გარეშე აშენდა.⁷³ „გამა კონსალტინგის“ მომზადებულია ნამახვანის ჰესების კასკადის 2015 წლის გზა ანგარიშიც, რომელშიც მოგვიანებით შესული ცვლილებების დასაბუთება სწორედ განხორციელებული კვლევების არასრულფასოვან ხასიათს უკავშირდება.

მათ შორის, გარემოს დაცვის სამინისტრო საკუთარ გადაწყვეტილებაში მიუთითებს 2015 წლის გზა ანგარიშის ნაკლოვანებებზე და იმ გარემოებებზე, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა პროექტის განხორციელებას და ექსპლუატაციას.⁷⁴

მსგავსი შეფასების მიუხედავად, სამინისტროს მიერ დადებითი დასკვნა იქნა გაცემული 2015 წლის ანგარიშზეც და დღეის მდგომარეობით, კვლავ დამატებითი შეფასებების გარეშე ეყრდნობა „გამა კონსალტინგის“ მიერ შესრულებულ კვლევებს. კვლევები კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპეციალისტების შეფასებით არასათანადოდ, საფუძვლიანი გამოკვლევების გარეშე არის შედგენილი. აღნიშნული კი გულისხმობს გეოლოგიურ და სეისმოლოგიურ საფრთხეებს, მდინარე რიონის წყლის რესურსისთვის შექმნილ საშიშროებებს და რიონის ხეობაში არსებული ბუნებრივი ჰაბიტატების განადგურების რისკებს. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო ვალდებული იყო, ეს რისკები სათანადოდ შეეფასებინა, გადამოწმებინა და პროექტის დაუსაბუთებულობის შემთხვევაში, უარი ეთქვა დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემაზე.

72 „შუახევი ჰესის გარემოზე გემომქმედების ანგარიში“ – იხ. ბმული – <https://www.ebrd.com/english/pages/project/eia/45335esiag.pdf>

73 „რატომ არ მუშაობს 2 წლის წინ დასრულებული შუახევი ჰესი დღემდე“ 25.04.2019 წ. – იხ. ბმული – <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%B0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1/29903670.html>

74 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკოპინგის დასკვნა N100 – 01.10.2019 წ. – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/22523> – გვ. 2-5

გეოლოგიური კვლევები

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი გზმ ანგარიში, რომელიც გარემოსდაცვითი გადანაცვების გაცემის საფუძველი გახდა, სრულყოფილად ვერ აფასებს ადგილზე არსებულ გეოლოგიურ პირობებს. პროექტის მასშტაბის და შესაძლო საფრთხეების გათვალისწინებით, სამინისტრო ვალდებული იყო, მხოლოდ სრულად წარმოდგენილი გეოლოგიური კვლევების შემდეგ დაეწყო მსჯელობა გადანაცვების მისაღებად. აღნიშნული ვალდებულების მიუხედავად, სამინისტრომ დადებითი გადანაცვები მიიღო, ხოლო დამატებითი გეოლოგიური კვლევების წარმოდგენა კომპანიას შემდგომ პერიოდში დაავალა. გეოლოგიური მდგომარეობის არასრულფასოვანი შეფასების თაობაზე სამინისტრომ გზმ-ანგარიშის განხილვის ეტაპზეც განაცხადა, როცა დამატებით მოითხოვა სეისმოლოგიურ კვლევასთან და რისკებთან დაკავშირებული სრული ინფორმაციის წარმოდგენა.⁷⁵ მსგავსი მოთხოვნის მიუხედავად, დამატებით წარდგენილ დოკუმენტაციაში კომპანია აღნიშნავს, რომ სეისმური კვლევები თან ერთვის ანგარიშს, დამატებითი კვლევების საჭიროება კი არ არსებობს.⁷⁶

სამინისტროს მოთხოვნის მიუხედავად, გზმ-ანგარიშში ასახული „მიძინებული“ მეწყრის თაობაზე შპს „ენკა რინიუებლზმა“ ასევე არ წარადგინა დეტალური კვლევა. ანგარიშის მიხედვით, მეწყერზე წყალსაცავის გავლენის დონე შეფასებულია როგორც დაბალი ზეგავლენა. აქვე კომპანია განმარტავს, რომ მითითებულ ტერიტორიაზე მეწყრული პროცესების შეფასება, სათანადო მონაცემების გამოყენებით დაგეგმილია, თუმცა გაზომვების შესრულება დამოკიდებული იქნება ნებართვის მიღებაზე, ადგილობრივი, კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვაზე და მინიმუმ ერთწლიან საკვლევ სამუშაოზე.⁷⁷

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ცენტრის დირექტორის განცხადებით ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის საპროექტო ტერიტორია სეისმურად აქტიურ უბანს წარმოადგენს. ჰესი გაგრა-ჭავის ტექტონიკურად აქტიურ სტრუქტურაზე მდებარეობს, რომელზედაც 1991 წელს, კავკასიაში რეგისტრირებული ყველაზე დიდი $M=7$ მგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. სეისმოლოგები მიიჩნევენ, რომ გზმ-ანგარიშში წარმოდგენილი კვლევების მიხედვით, ჰესი არ არის გათვლილი მიწისძვრის შემთხვევაში მოსალოდნელ დატვირთვაზე. შესაძლო ავარიის შემთხვევა-

75 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 21 იანვრის N729/01 წერილი – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/19341>

76 შპს „ენკა რინიუებლზის“ 2020 წლის 27 იანვრის წერილი, პუნქტი 3, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/19341>

77 შპს „ენკა რინიუებლზის“ 2020 წლის 27 იანვრის წერილი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/19341>

ში გარდაუვალი იქნება რიონის ხეობის დატბორვა, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის რიონის ხეობის მოსახლეობას, ადგილობრივ სოფლებსა და ქალაქ ქუთაისს.⁷⁸

ჰიდროლოგიური კვლევები

ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტში მდინარე რიონის წყლის ეკოლოგიური ხარჯად $16\text{მ}^3/\text{წმ}$ არის მითითებული. გარემოსდაცვითი ექსპერტები დიდი ხანია საუბრობენ, ეკოლოგიური ხარჯის გამოთვლასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ეკოლოგიური ხარჯი განსაზღვრავს ჰიდროელექტროსადგურის მუშაობის პროცესში მდინარიდან აღებულ და მდინარეში დატოვებული წყლის რესურსის მოცულობას. ქვეყანას არ გააჩნია ინფორმაცია საკუთარი მდინარეების წყალუხვობის თაობაზე, შესაბამისად, რთულია განისაზღვროს ჰესის ფუნქციონირებისათვის გათვლილი ეკოლოგიური ხარჯის ოდენობა რა გავლენას მოახდეს მდინარეზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნამახვანი ჰესის პროექტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ხარჯის ოდენობა დამატებით მნიშვნელოვან გამოკვლევასა და დასაბუთებას საჭიროებს. მითითებული კვლევების გარეშე განხორციელებული საქმიანობა მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის მდინარე რიონსა და მასში მოხინდრე ცოცხალ სამყაროს.

საგულისხმოა, რომ ანგარიშის განხილვის ეტაპზე გარემოს დაცვის სამინისტრომ, ქ. ქუთაისის ფარგლებში მდ. რიონის მინიმალური სანიტარული ნორმების გათვალისწინებით, ეკოლოგიური ხარჯის სიდიდის დამატებითი დასაბუთება მოითხოვა.⁷⁹ სამინისტროს მოთხოვნის მიუხედავად, კომპანიამ დამატებით კვლევები არ წარადგინა. სამინისტროში წარდგენილი წერილით ირკვევა კომპანიის პოზიცია მოთხოვნებთან დაკავშირებით – „აღნიშნული კვლევები სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული არ ყოფილა, ხოლო მოთხოვნილი ინფორმაცია 2015 წლის გზ – ანგარიშში ისედაც იყო ასახული.“⁸⁰ საგულისხმოა, რომ სამინისტრომ მითითებული პასუხი მიიღო, კომპანიას დამატებითი კვლევები აღარ მოსთხოვა და არც პირობიან გადაწყვეტილებაში გაითვალისწინა დამატებით დასაბუთების წარმოდგენის აუცილებლობა.

78 „ჰესი თუ დაინგრა ქუთაისს 20 მეტრიანი ტალღა დაარტყამს“ – თეა გოდოლაძე – 29.11.2020 წ. – იხ. ბმული – <https://www.facebook.com/118752518609712/videos/122407419522261>

79 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 21 იანვრის N729/01 წერილი – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/19341>

80 შპს „ენკა რინიუებლზის“ 2020 წლის 27 იანვრის წერილი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/19341>

იქთიოფაუნასთან დაკავშირებული კვლევები

გარემოზე ზემოქმედების ანგარიში არ მოიცავს სრულ და საფუძვლიან კვლევებს მდინარე რიონის იქთიოფაუნის თაობაზე. მდინარე რიონში მობინადრე თევზების სახეობების სრულყოფილი გამოკვლევის გარეშე, გზშ-ანგარიში ვერ სათანადოდ ვერ აფასებს იქთიოფაუნაზე პროექტის ზემოქმედების შეფასებას, შესაბამისად, არ არსებობს ზეგავლენის შემოკლებული და შემამსუბუქებელი ღონისძიებები.

ამასთან, 2018 წლის ნოემბერში სტრასბურგში გამართული ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის შეხვედრაზე დადგენილი იქნა, რომ მდ. რიონი საქართველოში ერთადერთი მდინარეა ზუთხისებრთა ბუნებრივ პირობებში გასამრავლებლად.⁸¹ მდინარე რიონის მნიშვნელობა კომიტეტის მიერ აღიარებული იქნა და მის როგორც ქვემო, ასევე ზემო ბიეფში დაგეგმილი ნებისმიერი ზემოქმედება წინასწარ უნდა იქნეს შეფასებული. მდინარე რიონი მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ჰაბიტატი და მასგაჩნია განსაკუთრებული ეროვნული, რეგიონული და გლობალური მნიშვნელობა ზუთხისებრთა გადარჩენისა და მათი სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების აღდგენისთვის. სამინისტრო ზუთხისებრთა მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ სკრინინგის დასკვნაში მიუთითებდა.⁸²

“Fauna and Flora International”-ის კავკასიის პროგრამის კონსერვაციის ოფიცერმა წერილობით მიმართა გარემოს დაცვის სამინისტროს და საკითხზე სათანადო გამოკვლევის გარეშე დაუშვებლად მიიჩნია დადებითი ნებართვის გაცემა.⁸³

საკითხის მსგავსი მნიშვნელობის მიუხედავად გზშ-ანგარიშში დღემდე არ გვხვდება აღნიშნული გარემოებების სრულყოფილი შეფასება.

81 „Pan-European Action Plan for Sturgeons” – იხ. ბმული – <https://rm.coe.int/pan-european-action-plan-for-sturgeons/16808e84f3>

82 ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებებზე (ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) სკრინინგის გადანაცვები შესახებ – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 14 თებერვლის N2-143 ბრძანება – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/13031>


83 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიერ საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაცია – დანართი 17 – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/19341>

დასკვნა

ნამახვანი ჰესის პროექტის განხორციელების თაობაზე სახელმწიფოს მიერ მიღებული გარემოსდაცვითი ნებართვის ანალიზი პროცესების მიმდინარეობისას შიდა კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი გარემოსდაცვითი პრინციპების უხეშ დარღვევებს ააშკარავებს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაირღვა საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობის მოთხოვნები. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არსებული კვლევები დაუსაბუთებელია და ვერ აღწერს პროექტის სრულ ზეგავლენას, შესაბამისად, პროექტში სრულად ვერ გვხვდება ზიანის შემამსუბუქებელი და მაკომპენსირებელი სათანადო ღონისძიებები. პროექტის მახასიათებლებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს დღემდე არ გააჩნია დასაბუთებული პასუხები პროექტის სეიმოლოგიური სიმყარისა და უსაფრთხოების თაობაზე. მეორე მხრივ, დარგის სპეციალისტები ადგილობრივი გეოლოგიური აგებულების უკიდურესად მნიშვნელოვან და საყურადღებო ასპექტებზე ამახვილებენ ყურადღებას. თითოეული მითითებული გარემოება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის როგორც პროცედურული, ისე შინაარსობრივი ხასიათის დარღვევას წარმოადგენს და არსებული ნებართვის გაუქმების საფუძველს ქმნის.⁸⁴ ხოლო დამატებით, ზემო ნამახვანი ჰესის თაობაზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების და გარემოსდაცვითი ნებართვის არარსებობა პროექტის ბუნდოვანებასა და სახელმწიფოებრივად გაუმრეხლობას კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენებს. აღნიშნულ პირობებში, სახელმწიფო ვალდებულია რეალურად გამოიკვლიოს ნამახვანი ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის მოსალოდნელი შედეგები, გააცნოს ის საზოგადოებას და მხოლოდ კომპლექსური შეჯამების შედეგად მიიღოს ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელებაზე სათანადო გადაწყვეტილება.

84 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი – მუხლი 601

თავი 4.
მშენებლობის ნებართვის
მოპოვების პროცესის შეფასება
ნამესხანის
ჰიდროელექტროსადგურების
კასკადზე



შესავალი

კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის უფლების მოსაპოვებლად აუცილებელ ეტაპს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული მშენებლობის ნებართვა წარმოადგენს.⁸⁵ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“ (შემდგომში „სააგენტო“) უფლებამოსილია გასცეს 50 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ნებართვის გაცემისას სააგენტო ვალდებულია, იხელმძღვანელოს კანონმდებლობით განსაზღვრული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების, უსაფრთხო გარემოს, საკუთრების უფლების დაცვის, საჯაროობისა და პასუხისმგებლობის პრინციპებით.⁸⁶

ქვემო ნამახვანი ჰესის მშენებლობის ნებართვა სააგენტომ 2020 წლის 22 აპრილს გასცა. აღსანიშნავია, რომ მშენებლობის ნებართვა, ისევე როგორც ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის გარემოსდაცვითი ნებართვა, საკითხის სრულყოფილი შესწავლის, კანონმდებლობით დადგენილი სრული და ამომწურავი დოკუმენტაციისა და საექსპერტო დასკვნების გარეშე გაიცა. მშენებლობის ნებართვა პირობიანია და მოიცავს დათქმებს, რომლის მიხედვითაც ნამახვანი ჰესის პროექტის განმახორციელებელმა კომპანიამ კონკრეტულ ვადებში სრულყოფილად უნდა წარადგინოს სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.

პროექტის მასშტაბის გათვალისწინებით, ნამახვანი ჰესი რისკის მომეტებული ფაქტორის მქონე ობიექტს წარმოადგენს. უსაფრთხოების რისკების არსებობის პირობებში, ბუნდოვანია რის საფუძველზე გადაწყვიტა სააგენტომ სამშენებლო დოკუმენტაციის სრულად შესწავლის გარეშე მშენებლობის ნებართვა გაეცა, ხოლო მეორე მხრივ, სრულიად ლეგიტიმური კითხვა — რამდენად შეძლებს პირობიანი ნებართვის არსებობა კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოებისა და საჯაროობის პრინციპების დაცვას.

აღნიშნულის პარალელურად, ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში არაერთი სამართლებრივი დარღვევა და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება გვხვდება, რაც მშენებლობის ნებართვის კანონიერებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და მისი გაუქმების საფუძველს ქმნის.

85 „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N257 დადგენილება მუხლი 50, პუნქტი 2 „ნ“ ქვეპუნქტი- იბ. ბმული -<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4578118?publication=4>

86 იქვე მუხლი 2

ქვემო ნამუხვენი ჰესი —
რატომ გეხდა სუჭირო არსებული
(2015 წლის) მშენებლობის ნებართვის
გენესლეგა



მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა სამ სტადიას მოიცავს: ქალაქთმშენებლობის პირობების დადგენა, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა.⁸⁷

პირველ სტადიაზე მშენებლობის განმახორციელებელმა პირმა სააგენტოში უნდა წარადგინოს მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენების პირობები, აღნიშნული მოიცავს მიწის ნაკვეთების შესაბამისი კომპანიის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასა და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების სტატუსებს.⁸⁸ მეორე სტადიაზე სააგენტოში წარდგენილი უნდა იქნეს არქიტექტურული პროექტი, რომელიც სრულად უნდა მოიცავდეს ინფორმაციას კონკრეტული პროექტის თაობაზე, დაგეგმილი შენობა ნაგებობების ფართობებს, მოცულობასა და ყველა მახასიათებელს.⁸⁹ ამასთან, თუ კონკრეტული საქმიანობა ექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას, მშენებლობის ნებართვის მეორე ეტაპზე სააგენტოში წარდგენილი უნდა იქნეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადანყვეტილება (ნებართვა).⁹⁰ მესამე სტადიაზე სააგენტოს წარედგინება კანონმდებლობის მოთხოვნათა საფუძველზე შედგენილი განცხადება, რომელიც მოიცავს სამშენებლო ობიექტის თაობაზე სრულ ინფორმაციას. აღნიშნული განცხადების საფუძველზე გაიცემა მშენებლობის ნებართვა.⁹¹

ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, მისი მასშტაბის და მოცულობის გათვალისწინებით,⁹² გარემოზე ზემოქმედების შეფასების სავალდებულო პროცედურას ექვემდებარება.⁹³ შესაბამისად, ნებართვის მოპოვების მეორე სტადიაზე პროექტის განმახორციელებელი კომპანია ვალდებული იყო სააგენტოში გარემოსდაცვითი ნებართვა წარედგინა.

87 „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N257 დადგენილება მუხლი 22 – იხ. ბმული -<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4578118?publication=4>

88 იქვე – მუხლი 27

89 იქვე – თავი 10

90 იქვე – მუხლი 36.

91 იქვე თავი 11

92 ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის ჯამური სიმძლავრე 424 მგვტ-ს შეადგენს – მონაცემები აღებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიდან. გზმ ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე – <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/17104>

93 2-5 მგვტ. სიმძლავრის ჰესები ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, რომლის საფუძველზეც მიიღება გადანყვეტილება საჭიროებს თუ არა პროექტი გზმ-ს. 5 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის ობიექტი ყოველგვარი წინაპირობების გარეშე ექვემდებარება გზმ პროცედურას – გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი – დანართი I, II- იხ. ბმული – <https://matsne.gov.ge/document/view/3691981?publication=7>

ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის კასკადზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ 2015 წლის 25 დეკემბერს გარემოსდაცვითი ნებართვა გასცა.⁹⁴ აღნიშნული ნებართვის საფუძველზე იმავე წელს ნამახვანი ჰესის პროექტზე მშენებლობის ნებართვაც გაიცა.⁹⁵ 2015 წელს მოპოვებული გარემოსდაცვითი და მშენებლობის ნებართვები, ნამახვანი ჰესის სხვა აქტივებთან ერთად პროექტის განმახორციელებელ ინვესტორ კომპანიას გადაეცა. აღნიშნული პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ მოცემულ ჩანართში.

ჩანართი

2015 წელს ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის როგორც გარემოსდაცვითი, ისე მშენებლობის ნებართვის მესაკუთრე სააქციო საზოგადოება „ნამახვანია“, რომელიც სახელმწიფოს მიერ ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობისათვის შეიქმნა.⁹⁶

მოგვიანებით, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა“ (GEDF)⁹⁷ ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განმახორციელებელი კომპანიის შერჩევის მიზნით ინტერესთა გამოხატვა გამოაცხადა. ინტერესთა გამოხატვის პროცესი 2017 წლის 16 იანვარს დასრულდა და მასში გამარჯვებულად შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია“ გამოცხადდა.⁹⁸

2019 წლის 25 აპრილს საქართველოს მთავრობასა და შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“ შორის ნამახვანი ჰესების კასკადის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულება გაფორმდა.⁹⁹ ამავე პერიოდში დაიდო სს „ნამახვანის“ აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“ და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ შორის.¹⁰⁰

94 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის 25 დეკემბერის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/16968>

95 „ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის განხორციელებისათვის მშენებლობის ნებართვა გაიცა“ – 02.02.2016 წ. – იხ. ბმული – <https://www.interpressnews.ge/ka/article/364529-namaxvan-hesebis-kaskadis-proektis-ganxorcielebistvis-msheneblobis-nebartva-gaica/>

96 „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას ახალი შვილობილი კომპანია ჰყავს“ – 03.02.2012 წ. – იხ. ბმული – <https://www.gogc.ge/ka/article/saqartvelos-navtobisa-da-gazis-korporacias-axali-shvilobili-kompania-hyavs/334>

97 GEDF-ის აქციების 100%-ის მესაკუთრე სახელმწიფოა, შესაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aTcAN9>.

98 „ჩვენი მიზანია რომ ნამახვანის მშენებლობა 2018 წელს დაიწყო“ – 05.02.2018 წ. – იხ. ბმული – <https://bit.ly/2SsbGR5>

99 „ნამახვანი – რას გვაპირგინებს და რას გვადლევს“ – 07.02.2021 წ. – იხ. ბმული – <https://ifactimereti.ge/namakhvani/>

100 „ნამახვანის ჰესების კასკადი“ – იხ. ბმული – <https://gedf.com.ge/project/23-namakhvanis-hesebis-kaskadi>

2019 წლის 22 მაისს შპს „ქლინ ენერჯი გრუპ ჯორჯია“ იცვლის სახელწოდებას და სახელმწიფოსთან ურთიერთობას აგრძელებს როგორც შპს „ენკა რინიუებლზი“.¹⁰¹ 2019 წლის 27 მაისს სს „ნამახვანი“ ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით გაცემულ 2015 წლის 25 დეკემბრის N73 დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ უფლებამოსილებებს სრულად გადაცემს შპს „ენკა რინიუებლზი“-ს.¹⁰² ამ მომენტიდან, როგორც გარემოსდაცვითი, ისე მშენებლობის ნებართვის ალების პროცედურებსა და ადმინისტრაციულ წარმოებაში სწორედ შპს „ენკა რინიუებლზი“ გვხვდება.

თუმცა, 2019 წელს ნამახვანის პროექტში მნიშვნელოვანი ტექნიკური მახასიათებლები შეიცვალა.¹⁰³ პროექტის ცვლილება გარემოს დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით გარემოზე ზემოქმედების ახალი ანგარიშის მომზადებას დაექვემდებარა.¹⁰⁴ შესაბამისად, 2015 წლის 25 დეკემბრის გარემოსდაცვითი ნებართვა ნამახვანის პროექტის განხორციელებისათვის არარელევანტური დოკუმენტი გახდა და იურიდიული ძალა დაკარგა. აღნიშნულმა კი ნამახვანი ჰესზე 2015 წელს გაცემული მშენებლობის ნებართვის გაუქმებაც გამოიწვია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტი ახალი მშენებლობის ნებართვის ალების ვალდებულებას დაექვემდებარა.

პროექტის ტექნიკური მახასიათებლების ცვლილების შემდეგ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ახალი ანგარიშის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2020 წლის 28 თებერვალს ქვემო ნამახვანი ჰესზე ახალი გარემოსდაცვითი ნებართვა გასცა.¹⁰⁵ 2020 წლის 4 მარტს ნამახვანის პროექტის განმახორციელებელი კომპანია შპს „ენკა რინიუებლზი“ გარემოსდაცვითი ნებართვის საფუძველზე ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიმართავს და ქვემო ნამახვანი ჰესის მშენებლობის ნებართვის გაცემას ითხოვს.

101 ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებისას „ქლინ ენერჯი გრუპ ჯორჯიას“ წილების 100%-ს ნორვეგიული „ქლინ ენერჯი გრუპი“ ფლობდა, ხოლო მოგვიანებით, 2017 წლის 3 აგვისტოს, კომპანიის წილების 50%-ის მფლობელი თურქული „ენკა“ გახდა. 2019 წლის 25 აპრილიდან კი „ენკა“ ნამახვანი ჰესის განმახორციელებელი კომპანიის წილების 90%-ის მესაკუთრეა.

102 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-451 ბრძანება – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/16969>

103 სკრინინგის განცხადება – 18.01.2019 – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/8374>

104 ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებებზე (ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 14 თებერვლის N2-143 ბრძანება – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/13031>

105 წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში, შპს „ენკა რინიუებლზის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი – 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე (ქვედა ნამახვანი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ – 28.02.2020 წ. – იხ. ბმული – <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/28460>

რეტომ ერის უკანონო
ქვემო ნემესვენი ჰესის
მშენებლობის ნებართვა



პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ნამახვანი ჰესის მშენებლობის ნებართვის საფუძველი ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურზე 2020 წლის 28 თებერვალს გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვაა. აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი პროცედურული და შინაარსობრივი დარღვევებით არის გაცემული, რაც მისი გაუქმების კანონიერ საფუძვლებს წარმოადგენს.¹⁰⁶

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაუქმება კანონმდებლობის შესაბამისად მშენებლობის ნებართვისათვის იურიდიული ძალის დაკარგვას გამოიწვევს.

თავის მხრივ, ქვემო ნამახვანი ჰესის მშენებლობის ნებართვა კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევითა და სამშენებლო სტანდარტების უგულებელყოფითაა გაცემული. მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში არსებული სამართლებრივი დარღვევები და სათანადო კვლევების არარსებობა ასევე ქმნის აღნიშნული ნებართვის გაუქმების საფუძველს.

როგორ წარიმართა პირობიანი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე მშენებლობის გაცემის მარეგულირებელი კანონმდებლობა ნებართვის გაცემის პროცესში ორი სახის საგამონაკლისო ნორმას ითვალისწინებს კერძოდ:

- მშენებლობის ნებართვის გამარტივებული წესით მიღება – რაც მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში სამ ეტაპიანი ადმინისტრაციული წარმოების ორ ეტაპად გაერთიანებასა და შემჭიდროვებულ ვადაში ნებართვის გაცემას გულისხმობს.¹⁰⁷
- პირობადებული მშენებლობის ნებართვა – რაც ნებართვის მაძიებლის მიერ დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე გარკვეული პირობებით გაცემულ მშენებლობის ნებართვას გულისხმობს.¹⁰⁸

106 „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის შეფასება ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის კასკადზე“ – 27.04.2021წ. – იხ. ბმული – <https://socialjustice.org.ge/ka/products/garemosdatsviti-gadatsqvilebis-mighebis-protsis-shefaseba-namakhvanis-hidroeletrosadgurebis-kaskadze>

107 „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N257 დადგენილება მუხლი 24 – იხ. ბმული – <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4578118?publication=4>

108 იქვე – მუხლი 38, პუნქტი 4

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის კასკადი, მისი მასშტაბის გათვალისწინებით, კანონმდებლობით განსაზღვრულ „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტს“ წარმოადგენს. მსგავსი აღიარების მიუხედავად, რაც მშენებლობისას მომეტებული რისკის არსებობასა და ნაგებობის განსაკუთრებული სიფრთხილით, მხოლოდ სრულყოფილად შესწავლის საფუძველზე მშენებლობას გულისხმობს,

ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში დადგენილებით განსაზღვრული ორივე საშეღავათო გამონაკლისი იქნა გამოყენებული.

2020 წლის 4 მარტს შპს „ენკა რინიუებლზი“ ახალი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველზე მიმართავს სააგენტოს და ქვემო ნამახვანი ჰესის მშენებლობის ნებართვის გაცემას ითხოვს.¹⁰⁹ მიუხედავად, იმისა, რომ კომპანიის მიერ წარდგენილ წერილში მშენებლობის ნებართვის მისაღებად გამარტივებული ადმინისტრაციული წარმოების მოთხოვნა არ გვხვდება, სააგენტო 2020 წლის 9 მარტის საპასუხო წერილით თავადვე სთავაზობს შპს „ენკა რინიუებლზს“ თუ დამატებით რა დოკუმენტაციის წარდგენა სჭირდება კომპანიას, რათა სააგენტომ ადმინისტრაციული წარმოების გამარტივებული წესი გამოიყენოს.

საგულისხმოა, რომ დამატებით წარსადგენ დოკუმენტაციაში ჰესის შენობის არქიტექტურული პროექტი და საკანონმდებლო რეგლამენტის მიხედვით შედგენილი საექსპერტო დასკვნა მოიაზრება.¹¹⁰ 2020 წლის წლის 20 მარტს შპს „ენკა რინიუებლზმა“ სააგენტოს ჰესის შენობის არქიტექტურული პროექტი და შესაბამისი საექსპერტო დასკვნა წარუდგინა.

თუმცა, სააგენტო 2020 წლის 10 აპრილის სააგენტო დამატებითი კორესპოდენციით მიმართავს კომპანიას და აცნობებს, რომ:

„ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის არსებითი განხილვის შედეგად დადგინდა, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია სრულად არ არის დაკომპლექტებული სამშენებლო დოკუმენტაციისათვის განსაზღვრული პირობებით.“

109 შპს „ენკა რინიუებლზსა“ და სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს შორის წერილობითი კორესპოდენციების თაობაზე ინფორმაცია აღებულია სააგენტოდან 2020 წლის 16 დეკემბერს N03/1761 წერილით „სოციალური სამართლიანობის ცენტრისათვის (ყოფილი EMC) საჯარო ინფორმაციის სახით მოწოდებული ადმინისტრაციული წარმოების მასალებიდან.

110 ტექნიკური რეგლამენტი შენობა ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილება – იხ. ბმული – <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3176389?publication=0>

აღნიშნული კორესპოდენციით ირკვევა, რომ ნამახვანი ჰესის საპროექტო დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებდა მშენებლობის ნებართვის გამართივებული წესით გაცემის პირობებს. დოკუმენტაცია არასრულყოფილი იყო და მხოლოდ მის საფუძველზე ნებართვის გაცემა შეუძლებელი აღმოჩნდა. შესაბამისად, 2020 წლის 10 აპრილის წერილით სააგენტომ შპს „ენკა რინიუებლზს“ დამატებით განუმარტა, რომ ნამახვანი ჰესის პროექტის დიდი მოცულობის სამშენებლო დოკუმენტების დამუშავების საჭიროების გათვალისწინებით, სააგენტო დასაშვებად მიიჩნევდა სამშენებლო დოკუმენტაციის სრულად არ წარმოდგენის შესაძლებლობას და ნებართვის მაძიებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მზად იქნებოდა პირობიანი სამშენებლო ნებართვის გაცემის შესაძლებლობა განეხილა.

ბუნდოვანია, რა საკანონმდებლო საფუძვლებისა და გარემოებების გათვალისწინებით მიმართავს ადმინისტრაციული ორგანო ამგვარი წინადადებით კერძო სამშენებლო სუბიექტს და რატომ ცდილობს გამართივებული გზით გასცეს მშენებლობის ნებართვა მსგავსი მასშტაბის პროექტზე. აღნიშნული სამშენებლო რეგულაციების გვერდის ავლის ღია და დაუფარავ მცდელობას წარმოადგენს.

2020 წლის 13 აპრილს შპს „ენკა რინიუებლზი“ ყოველგვარი დამატებითი დასაბუთების წარდგენის გარეშე აცხადებს თანხმობას, გაიცეს პირობიანი მშენებლობის ნებართვა სრული სამშენებლო დოკუმენტებისა და საექსპერტო დასკვნების ერთი წლის ვადაში წარდგენის პირობით.

საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში სრულიად „ამოტრიალდა“ საჯარო კანონმდებლობის პრინციპები. მშენებლობის ნებართვის მიღების მარტივი გზა, მშენებელ კომპანიას ადმინისტრაციულმა ორგანომ თავად შესთავაზა, ხოლო სამშენებლო სუბიექტმა უბრალოდ თანხმობა განაცხადა მიეღო აღნიშნული პირობები. კანონმდებლობით განსაზღვრული დასაბუთებული შუამდგომლობა კი საერთოდ არ არსებობს.

შპს „ენკა რინიუებლზის“ წერილობითი თანხმობის საფუძველზე 2020 წლის 22 აპრილს სააგენტომ პირობიანი მშენებლობის ნებართვა გასცა.

ნებართვის გაცემის პროცესში საკანონმდებლო მოთხოვნები დარღვეული და უგულვალყოფილი იქნა.

მშენებლობის ნებართვის გაცემის საფუძველს კანონმდებლობის შესაბამისად, ტექსტური და გრაფიკული ინფორმაციებით შედგენილი სამშენებლო დოკუმენტი

წარმოდგენს. სამშენებლო დოკუმენტი ნაგებობის ტექნიკურ მახასიათებლებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს მინის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევას.¹¹¹ აღნიშნული კვლევა სავალდებულოდ ქვემდებარება საექსპერტო შეფასების პროცედურას.¹¹² საექსპერტო შეფასება აუცილებლად უნდა მოიცავდეს დადებითი შეფასების დასაბუთებას.¹¹³ ნებართვის მაძიებელი პროექტში შემავალი თითოეული ობიექტის მიმართ ვალდებულია მოამზადოს შესაბამისი კვლევები, რაც თავის თავში მოიცავს ობიექტების გავლენის შეფასებას გეოლოგიური კუთხით, ობიექტების მდგრადობისა და უსაფრთხოების დაცვის სტანდარტების დაკმაყოფილებას. ამასთან, მომზადებული კვლევები შეფასებული უნდა იყოს სათანადო საექსპერტო დასკვნებით. მხოლოდ აღნიშნული სახით მომზადებული სამშენებლო დოკუმენტაცია შეიძლება გახდეს მშენებლობის ნებართვის გაცემის საფუძველი. შპს „ენკა რინიუებლზს“ ქვემო ნამახვანი ჰესის ობიექტების გეოლოგიური შეფასებები მომზადებული არ ჰქონია, არ არსებობდა დადებითი საექსპერტო დასკვნები, შესაბამისად, სააგენტომ ნებართვის გაცემის პროცესში საშეღავათო დათქმები გამოიყენა და პროექტის სრულად შესწავლის გარეშე, პირობიანი ნებართვა მაინც გასცა.

ნამახვანი ჰესის პროექტის მასშტაბისა და მომეტებული რისკის გათვალისწინებით, ბუნდოვანია რამდენად შეუძლია პირობიან ნებართვას მშენებლობის უსაფრთხოების სტანდარტები სრულად უზრუნველყოს.

ნებართვის გაცემისას სახელმწიფოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული გეოლოგიური მდგომარეობისა და ასაშენებელი ობიექტების გავლენის თაობაზე ამომწურავი ინფორმაცია არ გააჩნდა.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ ნამახვანი ჰესის პროექტზე გარემოსდაცვითი გადანყვეტილებაც კვლევების მოგვიანებით წარმოდგენის პირობით გაიცა. ასეთ პირობებში, სააგენტომ მაინც ისარგებლა კანონმდებლობით დაშვებული საგამონაკლისო წესით და მშენებლობის ნებართვა გასცა.

პირობიანი ნებართვის გაცემის პროცესშიც, სააგენტომ ასევე დაარღვია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

111 „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N257 დადგენილება მუხლი 52, პუნქტი 1 – იხ. ბმული -<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4578118?publication=4>

112 იქვე – მუხლი 15, პუნქტი 1, „ა.ა“ ქვეპუნქტი

113 იქვე – მუხლი 15, პუნქტი 2

კანონმდებლობა მკაცრად არეგულირებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული გარემოებებით და არგუმენტებით გამყარებული დასაბუთებული შუამდგომლობა, შეიძლება გახდეს პირობიანი მშენებლობის ნებართვის გაცემის საფუძველი.¹¹⁴

შპს „ენკა რინიუებლზ“ სააგენტოში რამე სახის დასაბუთებული შუამდგომლობა არ წარუდგენია.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოსათვის უცნობია, რეალურად არსებობდა თუ არა კონკრეტული გარემოებები, რის გამოც მშენებელმა კომპანიამ ვერ მოახერხა სამშენებლო დოკუმენტაციისა და საექსპერტო დასკვნების სრულად წარმოდგენა. მეტიც, კომპანია უბრალოდ დაეთანხმა სააგენტოს შეთავაზებას, სამშენებლო დოკუმენტაციის მოცულობის გათვალისწინებით, პირობიანი მშენებლობის ნებართვა მიეღო.

დასაბუთებული შუამდგომლობისა და კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის გარეშე, საგამონაკლისო ნორმით სარგებლობა და პირობიანი მშენებლობის ნებართვის გაცემა ქვეყანაში დადგენილი სამშენებლო კანონმდებლობის, სამშენებლო პრინციპებისა და უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევას წარმოადგენს.

სრული საპროექტო დოკუმენტაციის, საექსპერტო დასკვნების, პირობიანი ნებართვის თაობაზე დასაბუთებული შუამდგომლობის არაარსებობის პირობებში სრულიად ბუნდოვანია რის საფუძველზე გადაწყვიტა ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ ქვემო ნამახვანი ჰესზე, რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობისა და რისკის მომეტებული ფაქტორის შემცველ ობიექტს წამოადგენს, პირობიანი სამშენებლო ნებართვა გაეცა.

ამ პირობებში, ნათელია, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში აქტის გამოცემისთვის დადგენილი როგორც პროცედურული, ისე შინაარსობრივი ხასიათის ნორმები უხეშად დაირღვა, აღნიშნული კი მშენებლობის ნებართვის გაუქმების საფუძველი უნდა გახდეს.

114 „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N257 დადგენილება მუხლი 38, პუნქტი 4 – იხ. ბმული -<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4578118?publication=4>

მშენებლობის ნებართვის გაცემის ზემოქმედებით პროცედურა — რამდენად უზრუნველყო საკმარისი საჯარო უფლებამოსილებების შესრულება?

საგულისხმოა, რომ მსგავსი „საშეღავათო“ წესით, ნამახვანი ჰესზე გაცემული პირობიანი მშენებლობის ნებართვა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სააგენტოს მიერ საჯარო უფლებამოსილებების კეთლსინდისიერად შესრულების ვალდებულებებს. კერძოდ, შპს „ქლინ ენერჯი გრუფთან“ სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ მიერ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე,¹¹⁵ ფონდმა, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი სახელმწიფოა, ხოლო წილს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მართავს, დამატებით იკისრა ინვესტორისათვის განახლებული მშენებლობის ნებართვის მოპოვებაში დახმარების ვალდებულება. ამასთან, ოფიციალურად გაუღერებული პოზიციის თანახმად, ინვესტორის მიერ ხელშეკრულების ნასყიდობის ღირებულების ჩარიცხვა მხოლოდ განახლებული მშენებლობის ნებართვის მიღების შემდგომ მოხდებოდა.¹¹⁶

აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვან კითხვის ნიშნებს აჩენს. კერძოდ, ეკონომიკის სამინისტროს მმართველობაში არსებულმა სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა“ აიღო ვალდებულება, კომპანიას მშენებლობის უფლების მოპოვებაში დახმარებოდა, ხოლო მეორე მხრივ, ასევე ეკონომიკის სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო მშენებლობის ნებართვას აუცილებელი სამშენებლო დოკუმენტაციის არარსებობის პირობებში, ნებართვის მაძიებლის დასაბუთებული შუამდგომლობის გარეშე, გამართივებულად გასცემს. რამდენად წარმოადგენს ნამახვანი ჰესის პირობიანი მშენებლობის ნებართვა სწორედ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დახმარების ვალდებულების შესრულებას უცნობია, თუმცა მსგავსი საფუძვლიანი ვარაუდის პირობებში, ეკონომიკის სამინისტრო ვალდებულია სათანადო არგუმენტაციით დაასაბუთოს პირობიანი ნებართვის არსებობა და უპასუხოს საზოგადოებაში არსებულ ყველა შეკითხვას.

115 ხელშეკრულებით შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიამ“ ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის თაობაზე სს „ნამახვანის“ საკუთრებაში არსებული სრული აქტივები გამოისყიდა, მათ შორის კომპანიას გადაეცა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 2015 წლის 25 დეკემბრის N73 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. მოგვიანებით, აღნიშნული აქტივები და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა სრულად გადაეცა შპს „ენკა რინიუბლზს“. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 მაისის #N 2-451 ბრძანება „სს „ნამახვანზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადანაცვებილების შპს „ენკა რინიუბლზზე“ გადაცემის შესახებ“ იხ. ბმული — <https://bit.ly/2NVGRCE>.

116 „ნამახვანის ჰესების კასკადი“ — იხ. ბმული — <https://gedf.com.ge/project/23-namakhvanis-hesebis-kaskadi>

მშენებლობის პირობები — კიდევ ერთი დამატებითი შედეგით



საგულისხმოა, რომ 2020 წლის 22 აპრილის პირობიანი მშენებლობის ნებართვის შესაბამისად, კომპანიას ძირითადი სამშენებლო სამუშაოების წარმოება მხოლოდ ნებართვით გათვალისწინებული პირობის შესრულების შემდეგ შეეძლო. კერძოდ, კომპანია ვალდებული იყო 2021 წლის 13 აპრილამდე სააგენტოსთვის საბოლოო სამშენებლო დოკუმენტი და შესაბამისი საექსპერტო დასკვნები წარედგინა.

თუმცა, პირობიანი მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, შპს „ენკა რინიუებლზმა“ კიდევ ერთი დამატებითი შედეგით ისარგებლა. კერძოდ, კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე, 2020 წლის 21 სექტემბერს ცვლილება შევიდა მშენებლობის ნებართვაში. ცვლილების შესაბამისად, კომპანიას მიენიჭა უფლება, სრული სამშენებლო დოკუმენტის წარდგენამდე სამშენებლო სამუშაოები დაეწყო ჰესის იმ ობიექტებზე, რომლებზეც სააგენტოში სრულ საპროექტო დოკუმენტაციას და საექსპერტო დასკვნას წარადგენდა. აღნიშნული პრაქტიკაში გულისხმობს, რომ:

კომპანიას უფლება ეძლევა „დაანაწევროს“ სამშენებლო ობიექტი, შეადგინოს ჰესის ცალკეული ობიექტების სამშენებლო დოკუმენტაცია, შეაფასოს საექსპერტო დასკვნებით და მიიღოს კონკრეტული ობიექტების მშენებლობის უფლება. დღეის მდგომარეობით, აღნიშნული დამატებითი „შედეგით“ კომპანიამ უკვე ისარგებლა.

შპს „ენკა რინიუებლზმა“ სააგენტოს მხოლოდ სადერივაციო გვირაბის სამშენებლო დოკუმენტაცია წარუდგინა და 2020 წლის 3 დეკემბრის თანხმობის საფუძველზე მიიღო უფლება ადგილზე სადერივაციო გვირაბის სამშენებლო სამუშაოები დაეწყო. იმ პირობებში, როდესაც ჰესის სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების, მაგალითად კაშხლის სამშენებლო დოკუმენტაცია არ არსებობს, არ არსებობს მისი შეფასება და დადებითი საექსპერტო დასკვნა ამ დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე, სრულიად ბუნდოვანია რატომ უნდა გააჩნდეს სამშენებლო სუბიექტს ცალკეული ობიექტის მშენებლობის დანაშაულის უფლება. აღნიშნული გარემოება, კანონმდებლობით დადგენილ მშენებლობის პროცედურას, დოკუმენტაციის შეფასებას მხოლოდ ფორმალურად აქცევს და ერთგვარად სააგენტოს წინასწარ თანხმობას წარმოადგენს, დანაწევრებულად, თუმცა საბოლოოდ სრულად გაიცეს მშენებლობის უფლება.

მოსამზადებელი სამუშაოების
მიმდინარეობა —
კანონმდებლობისა და ნებართვის
პირობების დარღვევა



2020 წლის 22 აპრილის მშენებლობის ნებართვით შპს „ენკა რინიუებლზს“ სრული სამშენებლო დოკუმენტაციის წარდგენამდე ადგილზე მოსამზადებელი რიგის და მიწის სამუშაოების განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა. კანონმდებლობის მიხედვით, მოსამზადებელ სამუშაოებს წარმოადგენს აქტივობები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო მოედნის მოწესრიგებასთან, მათ შორის, ამორტიზებული ან სხვა არსებული ნაგებობების დაშლასთან და სამშენებლო ნაგვის მოცილებასთან, შესანარჩუნებელი მწვანე ნარგავების დაცვასა და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გადატანასთან, ასევე, მოსამზადებელ სამუშაოდ ითვლება შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება და სხვა.¹¹⁷ საკანონმდებლო მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, ადგილობრივი აქტივისტების, ასევე, თავად შპს „ენკა რინიუებლზის“ მედიისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომპანიამ ადგილზე ნებართვის მიღების შემდეგ, 2020 წლის სექტემბერში დროებითი სამშენებლო ბანაკი ააშენა, რომელიც 500-ამდე ადამიანს იტევს და რომელმაც ოპერირება დაიწყო. აღნიშნული სამუშაოები აშკარად ცდებოდა მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებს და უშუალოდ მშენებლობის დაწყებად უნდა ჩათვლილიყო.¹¹⁸

მუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტით კომპანიამ მშენებლობის ნებართვის პირობები დაარღვია სახელმწიფომ შპს „ენკა რინიუებლზს“ არანაირი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ დააკისრა.

მშენებლობის ნებართვის პირობების დარღვევა — შპს „ენკა რინიუებლზი“ არ დაქარაიმდა

კომპანიის მიერ მიმდინარე სამუშაოები მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებს სცდებოდა, თუმცა, საინტერესოა, რომ მშენებლობის ნებართვაში 2020 წლის 21 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებით, შპს „ენკა რინიუებლზს“ ადგილზე მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების უფლება სრულად შეეზღუდა, კერძოდ ნებართვიდან ამოღებული იქნა მოსამზადებელი სამუშაოების უფლების მინიჭების შესახებ ჩანაწერი.¹¹⁹ აღნიშნულის მიუხედავად, კომპანია ადგილზე მოსამზადებელ სამუშაოებს მაინც აგრძელებს. 2020 წლის ოქტომბერში მშენებლობის ნებართვის

117 საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #257 დადგენილება „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, 58-ე მუხლი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4578118?publication=2>

118 „ეს არის უხეში დარღვევა – რა სამუშაოები მიმდინარეობს ნამახვანი ჰესზე“ – 29.09.2020 წ. – იხ. ბმული – <https://publika.ge/es-aris-ukheshi-darghveva-ra-samushaoebi-mimdinareobs-namakhvanhesze/>

119 სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2020 წლის 21 სექტემბრის N135-04 ბრძანების პირველი პუნქტი

პირობების ინსპექტირების განხორციელებისას სააგენტომ ადგილზე მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობა ოფიციალური დოკუმენტაციითაც დაადგინა.¹²⁰ შემოწმების პერიოდში კომპანიას მოსამზადებელი სამუშაოების უფლება უკვე შეზღუდული ჰქონდა.

კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული მშენებლობის ნებართვის პირობების დარღვევის დაფიქსირებისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი უნდა გამხდარიყო. თუმცა, სააგენტოს მხრიდან არსებულ დარღვევას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.¹²¹

დუსკუნა

ქვემო ნამახვანი ჰესზე გაცემული მშენებლობის ნებართვის შეფასება კანონმდებლობის ნორმების უხეშ დარღვევასა და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან საჯარო უფლებამოსილებების შესრულების პრობლემატურობაზე მიგვითითებს. ნამახვანი ჰესის პროექტის მასშტაბისა და მისი მომეტებული საფრთხის გათვალისწინებით, სამშენებლო სტანდარტების დაცვის, დოკუმენტაციის სრულად და საფუძვლიანად შესწავლის, საექსპერტო დასკვნების არარსებობის პირობებში რაიმე სახის პირობიანი მშენებლობის ნებართვის არსებობა, ერთი მხრივ, პროექტის უსაფრთხოების თაობაზე ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული დარღვევები ნებართვის გაუქმების სამართლებრივ საფუძვლებს ქმნის.

ამასთან, უცნობია რამდენად აკმაყოფილებს კომპანიის მიერ სააგენტოში წარდგენილი ცალკეული ობიექტების, მათ შორის სადერივაციო გვირაბის სამშენებლო დოკუმენტაცია მშენებლობის უსაფრთხოების დადგენილ სტანდარტებს. ხოლო, იმ პირობებში, როცა სააგენტოს მხრიდან შპს „ენკა რინიუებლზის“ მიმართ არაერთი დათმობა და დაუსაბუთებელი შედეგათი გვხვდება, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება რამდენად ახერხებს სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის უფლების მქონე სააგენტო საკუთარი საჯარო ვალდებულებების სრულად და კეთლსინდისიერად შესრულებას, მშენებლობის უსაფრთხოების სათანადო სტანდარტების დაკმაყოფილებას და მშენებლობის ნებართვის პირობების დაცვის უზურუნველყოფას.

120 „სოციალური სამართლიანობის ცენტრისათვის (ყოფილი EMC) სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოდან 2020 წლის 16 დეკემბერს გადმოგზავნილი N03/1761 წერილობითი კორესპოდენცია.

121 „ნამახვანი ჰესის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები არღვევს სანებართვო პირობებს და დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს“ – 10.02.2021 წ. – იხ. ბმული – <https://socialjustice.org.ge/ka/products/emc-namakhvanihesis-msheneblobis-mosamzadabeli-samushaoebi-arghvevs-sanebartvo-pirobebs-da-dauqovnebliv-unda-shecherdes>

გემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სახელმწიფო ვალდებულია დამატებით გამოიკვლიოს მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა, კომპანიას სრული სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოდგენა მოსთხოვოს და მხოლოდ დამოუკიდებელი ექსპერტების სათანადო დასკვნის საფუძველზე, ნამახვანი ჰესის პროექტის უსაფრთხოების საკანონმდებლო სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში დაუშვას ადგილზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

